ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 22 მაისი, 2013 | №119 (6120) | ფასი: 30 თეთრი

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“ + პატრიარქები
8 ლარი

ვანო მერაბიშვილის დაკავება ახალაიების კლანის წარმატებას ნიშნავს

გვ.2

ყოფილი პრემიერი ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად დააკავეს

გვ.3

ალეკო შალამბერიძე: „ნაციონალებს დასავლეთში ჰომოსექსუალები მფარველობენ“

„ნაციონალები გულდაწყვეტილი არიან, 17 მაისს მძიმე შედეგი რომ არ მიიღეს“

გვ.4

გივი თარგამაძე: „ანაბრების დაბრუნება არარეალურად მიმაჩნია“

გვ.6

ირინა სარიშვილი: „ოპოზიციამ ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა წარადგინოს“

გვ.4

ილია II: „უნდა დავიცვათ ადათ-წესები, მაგრამ არ უნდა იყოს ძალადობა“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კონსტანტინოპოლიდან 17 მაისის აქციას გამოეხმაურა.

„ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ადათ-წესები, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა იყოს ძალადობა და არავინ არ უნდა მოახვიოს ერთმანეთს თავისი იდეები. მე მინდა ვთქვა, რომ ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოში სამი ჯარისკაცის გლოვა იყო და ძალიან ცუდია, რომ ამას ყურადღება არ მიაქციეს“, – ბრძანა უწმინდესმა „მეცხრე არხთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ახალი თაობა

გვ.5

ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილზე სერიოზული ზეწოლაა“

ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით არავის ვდევნით“

გვ.6

ISSN 1987-9385

3 ვანო მერაბიშვილის სახლიდან ასობით ათასი ევრო ამოღებული

5 ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად 26 მაისის მერე დასახელდება

4 სასამართლომ 17 მაისის საქმეზე დაკავებულ ახალგაზრდებს აღმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა

5 ირაკლი ღარიბაშვილი: „კანონზე მაღლა არავის დავაყენებთ“

2013, 22 მაისი, №119

ვანო მერაბიშვილის დაკავება ახალაიების კლანის წარმატებას ნიშნავს

ყოფილი პრემიერი ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად დააკავეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვანო მერაბიშვილს კარგა ხანია თავს არჩილ კბილაშვილის ავად მოღიმარი სმაილიკი დასტრიალებს. სამართალს მოწყურებული ქართველი ერიც დიდი ხანია ითხოვს მის დაკავებას. დაკითხვაზე ის რამდენჯერმე ჰყავდათ დაბარებული, დაკავებით კი გუშინ დააკავეს. მასთან ერთად დააკავეს კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი. ჭიაბერაშვილმა ჟურნალისტებს ჯერ კიდევ გუშინ დილით უთხრა, რომ დიდი ალბათობით მათ დააკავებდნენ. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც ეს წინასწარმეტყველება ახდა.

გაცილებით ოპტიმისტურად იყო განწყობილი ვანო მერაბიშვილი. დაკითხვაზე შესვლამდე ის ხელისუფლებას რჩევებსაც კი აძლევდა. მან მთავრობას ურჩია, რომ ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა გადაჭრას.

– მე ვამაყობ, რომ ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ, სამწუხაროდ, არ დაგვცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, იყო სწორედ დასაქმების პროგრამა და ალბათ, სიმბოლურია, რომ დღეს მე მიწევს ამ საქმესთან დაკავშირებით შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მთავარი პრობლემა ქვეყანაში არის ის, რომ ის 600 000 ანკეტა, რომელიც შეივსო ჩვენი სოცაგენტების მიერ, არცერთ ჩვენ ჩინოვნიკს არ უნახავს და სამწუხაროდ, დღევანდელი მთავრობა არ ფიქრობს ყველაზე მთავარი – უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. საქართველოში ბოლო თვეებში არათუ არ შექმნილა ახალი სამუშაო ადგილები, არამედ 82 000 სამუშაო ადგილი დაიკარგა. ვფიქრობ, პროკურატურაში ჩემ დაკითხვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ მთავრობა დაკავდებოდა თითოეული ქართველის ყველაზე მთავარი პრობლემის მოგვარებაში, დასაქმებაში. ის ბაზა, რომელიც ჩვენ შევქმენით, მოვასწარით, სამწუხაროდ, ყველა ქალაქსა და ყველა სოფელში ვერ გავაკეთეთ, გამოადგებათ მათ ამ პრობლემების შესწავლასა და რაც მთავარია, გადაწყვეტაში, – განაცხადა მერაბიშვილმა.

დაკითხვაზე შესული მერაბიშვილი და ჭიაბერაშვილი უკან აღარ გამოსულან. ისინი დააკავეს და ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურატურამ საგანგებო ჰანცხადება გაავრცელა. „ახალი თაობა“ პროკურატურის განცხადებას სრულად გთავაზობთ.

– გვსურს გაცნობოთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა კომპლექსურ ღონისძიებებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიერ უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ადამიანისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი დანაშაულებრივი ქმედების ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების მიზნით.

დანაშაულების ჩადენის ადგილის, სიმძიმისა და საქმეების სირთულის მიხედვით, გამოძიების წარმართვაში ჩართული იყვნენ როგორც პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები, ასევე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი.

ამ ეტაპზე შეგვიძლია გახსნილად გამოვაცხადოთ ივანე მერაბიშვილის კორუფციული საქმიანობის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელთაგან პირველი საყურადღებო და პრიორიტეტულია იმ თვალსაზრისიდაც, რომ იგი ჩადენილია ამ უკანასკნელის საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს.

შევეცდებით, მოკლედ და საზოგადოებისთვის გასაგებად აღვწეროთ მითითებული დანაშაულების შინაარსი და სახელმწიფოსათვის დამდგარი შედეგები.

ამასთანავე, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებულია დაახლოებით ასეულობით ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისათვის, რომ ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

ეპიზოდი პირველი:

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.

ეპიზოდი მეორე:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში ზღვის პირას მდებარე, შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი და, 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი და, ოჯახთან ერთად, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, გაარემონტა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისათვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი.

ივანე მერაბიშვილი დაკავებულია.

მისთვის ინკრიმინირებული ქმედება ითვალისწინებს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს პროკურატურა სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რადგან არსებობს უტყუარი მასალები, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

იმავდროულად, გვინდა განვაცხადოთ, რომ, ფაქტობრივად, დასრულებულია გამოძიება კიდევ ორ ეპიზოდზე, კერძოდ, პირველი შეეხება 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებით, ორგანიზებითა და პირადი კონტროლით, საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი, ალყაშემორტყმული მოქალაქეების წინააღმდეგ აშკარად არათანაზომიერი, არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის განზრახ გამოყენებას, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანები მიიღო მრავალმა ადამიანმა.

მეორე ეპიზოდი უკავშირდება უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, რომლის დეტალური და ეფექტური გამოძიებით პროკურატურის მიერ, პრაქტიკულად, სრული სიზუსტით აღდგენილია შემთხვევის ვითარება, დადგენილია მასში მონაწილე ყველა პირი, გარკვეულია დანაშაულის რეალური მოტივი, მისი ორგანიზატორები და ამსრულებლები.

შეგროვებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ სწორედ ივანე მერაბიშვილმა, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის თამარ (თაკო) სალაყაიას, აგრეთვე, სხვა მასთან დაახლოებული პირების მომხდარი დანაშაულისაგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას.

უახლოეს პერიოდში ივანე მერაბიშვილს ზემოაღნიშნულ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინება დამატებითი ბრალდება, ხოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება სრულყოფილი ინფორმაცია გამოძიების შედეგების თაობაზე.

ივანე მერაბიშვილთან ერთად დაკავებულია საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, – ნატქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ნაციონალური მოძრაობა გენერალური მდივნის დაკავებას დიდი მწუხარებით შეხვდა. პარტიაში ამ დაკავებას პოლიტიკურ დევნად აფასებენ. მიაჩნიათ, რომ ამით ხელისუფლებამ 17 მაისის ამბები გადაფარა.

შეგახსენებთ რომ ვანო მერაბიშვილი ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა ყოფილიყო. საპრეზიდენტო კამპანია მას მიმდინარე წლის 19 აპრილს უნდა დაეწყო. მერე რაღაც მოხდა და ეს ამბავი ჩაიშალა.

ბოროტი ხმები ამბობენ რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლებას შესაძლოა კომპრომატები დათა ახალაიამაც მიაწოდოს. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მერაბიშვილის მოადგილე და მარჯვენა ხელი იყო. მათ ბევრი საქმე აქვთ ერთად გაკეთებული. და თუ ახალაია მართლაც ალაპარაკდა, მერაბიშვილი შავ დღეში ჩავარდება. დათა ახალაია საქართველოდან არის გაქცეული. მისი სახელით რამდენჯერმე გავრცელდა განცხადება. და კიდევ, საინტერესოა ნაციონალები ვანოსაც ბაჩო ახალაიასავით მიატოვებენ თუ არა. ამ უკანასკნელის მხარდასაჭერად ყოფილი სახელისუფლებო გუნდი თავს დიდად არ იწუხებს. განსაკუთრებით მწარედ მერაბიშვილი დუმდა.

მიხეილ სააკაშვილი: „დავფიქრდეთ, რა შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის ყოფილი პრემიერის დაკავებას“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე და მის პერსპექტივაზე ცუდად იმოქმედებს. სააკაშვილმა უკრაინის მაგალითიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ ტიმოშჩენკოს დაკავებამ უკრაინა პრაქტიკულად საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია.

„მე ვფიქრობ ვანო მერაბიშვილს ქართული საზოგადოების წინაშე ჩემი წარდგენა არ სჭირდება, ყველამ იცის მისი საქმიანობის ასპექტები და ვერცერთი პროკურორი და მოსამართლე, მასთან მიმართებაში საზოგადოების ვერდიქტს ვერ ჩაანაცვლებს.

მინდა შეგახსენოთ, რომ უკრაინაშიც მოხდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაკავება და ბევრად უფრო სერიოზული ბრალდებით, ვიდრე ეს მერაბიშვილის შემთხვევაში იყო. ნახეთ ამის შემდეგ უკრაინა რა მდგომარეობაშია. უკრაინა ევროკავშირთან მიმართებაში ინტეგრაციის პროცესში გაყინულია და არანაირი წინსვლა არა აქვს, უფრო მეტიც მას შეექმნა პრობლემები ურთიერთობაში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან და მათ შორის შეერთებულ შტატებთანაც. ერთი სიტყვით, ამხელა უკრაინა, რომელიც დასავლეთს სასიცოცხლოდ სჭირდება, ყოფილი პრემიერის პოლიტიკური მოტივებით დაკავების გამო, როგორც ეს ითვლება, სერიოზულ საერთაშორისო იზოლაციაშია.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრად ნაკლებად ვჭირდებით დასავლეთს ვიდრე უკრაინა, მაგრამ მეტად ვჭირდებით რუსეთს ვიდრე უკრაინა და რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებშია, რომ საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია მოხდეს. ამიტომ საზოგადოება და მთავრობაც უნდა დაფიქრდეს, რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება ჰქონდეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის და ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივნის დაკავებას საქართველოსთვის და მისი პერსპექტივისთვის. ამაზე უნდა დავფიქრდეთ“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

შეერთებული შტატები 17 მაისს თბილისში მომხდარ ფაქტს გმობს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელწიფო დეპარტამენტი, თბილისში 17 მაისს ლგბტ-ს წევრების მიერ დაგეგმილი ღონისძიების დროს განხორციელებულ ფაქტს გმობს.

ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მოადგილემ ბრიფინგზე განაცხადა.

ინფორმაციას კი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციასთან დაკავშირებით ქართული ტელეკომპანიები ავრცელებენ.

„შეერთებული შტატები გმობს თბილისში ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის მონაწილეებზე თავდასხმას, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ჩვენ, მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ“ – აცხადებენ სახელმწიფო დეპარტამენტში.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო შალამბერიძე: „ნაციონალებს დასავლეთში ჰომოსექსუალები მფარველობენ“

შორენა მარსაგიშვილი

17 მაისის მოვლენები საქართველოში ჯიდევ დიდხანს იქნება სჯა-ბაასისა და მითქმა-მოთქმის საბაბი. „თავისუფალი საქართველოს" გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში გეი-აღლუმები არ უნდა ჩატარდეს. ვის ინტერესებში შედიოდა ღგბტ პირების ცემა, რატომ უნდა წარდგნენ სასულიერო პირები სასამართლოს წინაშე, ვინ და რაში იძლევა გრანტებს, ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

– დღეს მთელი საქართველო და ლამის მთელი მსოფლიო ვიშვიშებს 17 მაისის გეი-აღლუმის ჩაშლის გამო. ამ-ხელა აურზაურს არ ჯობდა, ის აქცია თუ აღლუმი ჩატარებულიყო?

– არ ჯობდა! თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის ხელოვნურად შემოგდებული თემა. თავის დროზე მოქალაქეთა კავშირი და ახლა ნაციონალური მოძრაობა ამ თემით გაკეთდნენ.

– რას გულისხმობთ?

– ისინი დასავლეთზე იმ პირობით გავიდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ ჰომოსექსუალებს და ქვეყანაში ჩაატარებდნენ გეი-აღლუმებს.

– და ეს რატომ იყო დასავლეთისთვის მისაღები?

– საქმე ის გახლავთ, რომ მოქალაქეთა კავშირის და ნაციონალების ლობისტები ღგბტ ადამიანები ანუ ჰომოსექსუალები არიან. ამიტომაც არის, რომ ასე ძალიან გვაძალებენ გეი-აღლუმებს. თურქეთი და ისრაელიც ხომ ევროპის ნაწილია. მაინტერესებს, რატომ არ სთხოვენ მათ გეი-აღლუმების ჩატარებას. იქ, ამ თემის წინ წამოწევით, სერიოზული პრობლემები შეიქმნება. ეს იცის დასავლეთმა და არ აძალებს. სამაგიეროდ, ჩვენ გვიყენებენ ასეთ მოთხოვნას. ვინმემ ამიხსნას, რატომ არის გეი-აღლუმის ჩატარება დემოკრატიის გამოვლინება? ხალხი ძალიან კარგად მიხვდა, რომ ეს იყო ხელოვნურად შემოგდებული თემა და ამიტომაც მოჰყვა მას ამხელა აღშფოთება.

– რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ის აღლუმი ჩატარდებოდა?

– ღგბტ ადამიანები არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები და როგორც ყველას, მათაც აქვთ აქციის მოწყობის უფლება. მაინტერესებს, რაღა ქაშვეთის წინ მოინდომეს ამ აქციის გამართვა. აღლუმის მოწყობა ქალაქგარეთ და სადმე მიყრუებულ სკვერშიც შეიძლებოდა. სხვა თუ არაფერი, ბევრად რომანტიკული გარემოა. ახლა მიდის საუბარი, რომ ღგბტ-ს მოწინააღმდეგეები თავიდანვე აგრესიულად იყვნენ განწყობილი. ეს არის სიცრუე! სასულიერო პირები საერთოდ არ გამოხატავდნენ აგრესიას.

– ეგ თავიდან არ გამოხატავდნენ, მერე ყველა აგრესიული გახდა.

– იქ, სადაც ამხელა მასა გროვდება, ყოველთვის არის აგრესია. რაღაც აგრესიულ გამოვლინებებს მართლა ჰქონდა ადგილი, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამ ევროპამ რომ შეგვჭამა რჩევა-დარიგებებით, მაგათთან ამხელა აქციები როგორ მთავრდება ხოლმე? ირგვლივ ყველაფერს წვავენ. ჩვენთან რამე დაწვეს, დაარბიეს მაღაზიები თუ ვინმეს სცემეს? რუსთაველზე მსგავსი არაფერი მომხდარა. მოვლენები შავად ნაციონალებმა და „რუსთავი 2“-მა გააბუქეს. ამ აქციის დარბევა სასულიერო პირების ინტერესში არ ყოფილა. ამ აქციის დარბევა ნაციონალებს და საჭვო წარმომავლობის არასამთავრობო ორგანიზაციებს აწყობდათ.

– მათ რაში აწყობდათ?

– იმაში, რომ ღგბტ პირების დატირებაში გრანტებს ღებულობენ. რაც მეტი იქნებოდა აგრესია, მეტი იქნებოდა ფული. რამდენადაც ვიცი, ამერიკასა და ევროპაში მზად არიან ჩვენებური ღგბტ პირების მისაღებად.

– რას ნიშნავს მისაღებად ემზადებიან? სექსუალურ თავშესაფარს აძლევენ?

– არა, რა თავშესაფარი. ტრეინინგები უნდა ჩაუტარონ თუ როგორ დაიცვან ღგბტ პირებმა თავი ძალადობისგან.

– და ვინ ძალადობს მაგათზე?

– არც არავინ. უბრალოდ, ღგბტ-ს გარშემო მთელი მაფიაა. სერიოზული ფული და გავლენა აქვთ. ახლა ცდილობენ სხვადასხვა ქვეყნების ათვისებას. ასათვისებელი ქვეყნების რიცხვში შედის საქართველო. აქ ამის გასავრცელებლად ნოყიერი ნიადაგი ნახეს. ძალიან დამაფიქრებელია ის რეაქცია, რაც სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს ჰქონდათ 17 მაისის აქციაზე. მართლა არ მესმის, რას აპროტესტებენ. ერთი მითხრან, სად იყო დარბევა? დარბევა იყო 26 მაისს. მაშინ ეგ ელჩები რაღაც არ შეშფოთებულან? ახლა კი ისე ღელავენ, როგორც ზღვა ძლიერი შტორმის დროს. დამაფიქრებელია ნატოს გენერალური მდივნის რასმუსენის განცხადებაც. რასმუსენი, ელჩების მსგავსად, ღგბტ პირების აღლუმს უკავშირებს საქართველოს ნატოში მიღება-არმიღების გადაწყვეტილებას.

– ხო, მაგრამ ნატო სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია თუ ღგბტ გაერთიანება?

– აქამდე ვიცოდი, რომ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი იყო. ამ განცხადებების გამო ცოტა დავეჭვდი. თუ გეი-აღლუმებზე არის დამოკიდებული საქართველოს ალიანსში შესვლა, მაშინ არ მინდა ნატო!

– თქვენ არ გინდათ, ხელისუფლებას უნდა.

– ძალიან ცუდია თუ ხელისუფლებას ასეთი პირობით უნდა ნატოში შესვლა. იმედი მაქვს, არც ხელისუფლება დათანხმდება ასეთ პირობას. ამასთან მგონია, რომ ნატო და დასავლეთი გვაბოლებს. დღეში რამდენჯერმე რომ ჩავატაროთ ღგბტ პირთა აქციები, იქ მაინც არავინ მიგვიღებს. არანატოს წევრი ქვეყნებიდან ავღანეთში ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჩვენ გვყავს გაგზავნილი და ბევრ ნატოს წევრ ქვეყანასაც ვჯობივართ კონტინგენტის სიმრავლით. ავღანეთში ჩვენი 22 მებრძოლი დაიღუპა უკვე, უამრავი დაიჭრა და დასახიჩრდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით არ მიგვიღეს და ღგბტ პირების ხათრით მიგვიღებენ?! რასმუსენს გეების ჩაშლილი აღლუმის ნაცვლად იმაზე უნდა გამოეხატა შეშფოთება, ავღანეთში 3 ქართველი ვაჟკაცი რომ დაიღუპა. ნატოში მანამდე არავინ მიგვიღებს, ვიდრე ტერიტორიულ მთლიანობას არ აღვადგენთ. ჩვენი მთავარი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და არა ღგბტ პირების აქციების გამართვა. თუმცა მათზეც უნდა ვიფიქროთ. ასეთი პროვოკაციები აღარ უნდა დავუშვათ.



– ფიქრობთ, რომ კიდევ გარისკავენ მსგავსი აღლუმის მოწყობას?

– გარისკავენ რომელია. ამით იღებენ გრანტებს. 17 მაისი ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. მომავალ წელსაც დადგება 17 მაისი და მაშინ შეეცდებიან აქციის გამართვას. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

– მზადყოფნაში რას გულისხმობთ?

– უამრავი რამის მოფიქრება შეიძლება. ამ აქციების უკან პირადად მე ბევრ ხიფათს ვხედავ.

– რა ხიფათს?

– შვეიცარიაში 1 მაისიდან კანონი ამოქმედდა, რომლის თანახმადაც, მამაკაცები ტუალეტში ჩაკუზულები ქალებივით უნდა მოიქცნენ. სერიოზული მუშაობა მიდის იმ ბავშვების დასაცავად, რომლებსაც ორივე მშობელი ერთი სქესის ჰყავს. ყველაფერს აკეთებენ, რომ ასეთ ბავშვებს რაიმე კომპლექსი არ ჰქონდეთ. სერიოზული პრობლემებისკენ გვიბიძგებს ეს ამბები. აქ, თბილისში, ერთი ან ორი აქციის ჩატარებაში არ არის საქმე და რაკი ძალადობაზეა საუბარი, ძალადობას სწორედ ღგბტ პირები მიმართავენ.

– რა მხრივ ძალადობენ?

– ცდილობენ, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას თავს მოახვიონ თა-

– ფეხებზე ჰკიდიათო ამბობთ

– ფეხებზე ჰკიდიათ. ეს ბიზნესია. ეს ბიზნესი ასეთ ფორმებში ტარდება. ეს ბიზნესი ასეთ ფორმებში ტარდება. ეს ბიზნესი ასეთ ფორმებში ტარდება

ირინა სარიშვილი: „ოპოზიციამ ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა წარადგინოს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

– ქალბატონო ირინა, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მმართველმა გუნდმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა. ასევე ვნახეთ, რომ სახალხო კრებამ დააყენა ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა. თქვენი აზრით, ვის რა შანსები აქვს?

– მე ამ ეტაპზე პიროვნულად არ შევეხები არც ერთ კანდიდატს, ვინც შეიძლება წამოაყენოს, ერთი მიზეზის გამო. მე თვითონ მომხრე ვარ ძლიერი მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის და არა უბრალოდ რომელიმე პოლიტიკური ძალისგან, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, იმის დაჩემების, რომ თვითონ არის ცენტრი, იმიტომ რომ, თუ არ მოხდება ოპოზიციური ძალების გაერთიანება, თუნდაც საერთო საპრეზიდენტო კანდიდატურაზე, არანაირი პერსპექტივა, ვისიც არ უნდა იყოს კანდიდატურა და როგორი სიმპათიითაც არ უნდა ვიყო განწყობილი მე რომელიმე მათგანის მიმართ, არც ერთ კანდიდატურას პერსპექტივა არა აქვს. დაწყებითი კლასების განათლებაც აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ ამას მივხვდეთ.

–თქვენ როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძე გეგმავს, ითანამშრომლოს დანარჩენ ოპოზიციასთან, თუ ის მხოლოდ საკუთარი პარტიის სახელით გამოვა?

– ვერ გეტყვით, ბურჯანაძემ რომც დააპიროს, აქ ცალმხრივი სურვილი საკმარისი არ არის. ეს არ არის ასე მარტივი. აქ უნდა იყოს სურვილი ყველა მხრიდან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კონკრეტულად არც ერთ კანდიდატურას არ განვიხილავ, აბსოლუტურად შეგნებულად, დანამდვილებით ვისზეც ვიცით, რომ აპირებენ კანდიდატურის წამოყენებას. მთავარი არის ის, რომ ყველა პოლიტიკური ძალა დასხდეს ერთად და, თუ საპარლამენტო სიით ვერ ახერხებენ გაერთიანებას, საპრეზიდენტო კანდიდატზე მაინც ერთ აზრამდე მივიდნენ, იმიტომ რომ არსებობს სახელისუფლებო კანდიდატურა, დღესდღეობით მარგველაშვილი, ნაცებისგანაც აუცილებლად იქნება ვიღაც და ამ ფონზე რამდენიმე ოპოზიციური კანდიდატი – ეს ყველაფერი აბსურდის თეატრს დაემსგავსება. ძალიან უგუნური იქნება ნებისმიერი კანდიდატი, ასეთ შემთხვევაში თუ ის ჩათვლის, რომ აქვს შანსი მოგების. ასეთ შემთხვევაში ქვა რომ დადოს ივანიშვილმა, ისიც მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს. მე საერთოდ ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი, იქნება ეს ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი თუ ვინც არ უნდა იყოს, რომელიმე პოლიტიკური ლიდერი მოახერხებს იმას, რომ საკუთარ კანდიდატურაზე დაითანხმოს სხვები. ამაში ძალიან ეჭვი მეპარება. აქედან გამომდინარე, უნდა შეირჩეს, ჩემი აზრით, ისეთი კანდიდატურა, მე არ ვლაპარაკობ მომღერლებზე, მხატვრებსა და პიანისტებზე, იმიტომ რომ მათ თავიანთი საქმე აქვთ. უნდა შეირჩეს ისეთი კანდიდატურა, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით არ იქნება გამაღიზიანებელი ფაქტორი არც ერთი ამ პარტიისთვის. რადგან ისინი ვერ ძლევენ ერთმანეთის მიმართ ამ ანტიპათიას, ყველა შემთხვევაში მაშინ უნდა მოიძებნოს განსხვავებული კანდიდატი და ასეთი კანდიდატის მოძებნა შეიძლება. ტყუილად ნუ მკითხავთ, დღეს არავის გვარსა და სახელს არ დავასახელებ.

– ისეთი კანდიდატი, რომ უარი ვერ თქვას ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ?

– დიახ, გაუჭირდეს უარის თქმა. არ დაინახოს მასში ის, რომ აი ის პარტია ამჯობინეს ჩემსას. სამწუხაროდ, ეს ურთიერთქიშპობა პარტიებმა ვერ გადალახეს და, რეალისტები თუ ვიქნებით, ვერც ვერასდროს გადალახავენ. უნდა ვიცოდეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები, თავისი შედეგებით, განსაკუთრებით პირველ-მეორე ადგილზე, განსაზღვრავს მომავალი პარლამენტის შემადგენლობას. ეს არის აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი და ეს ჩემზე უარესად, არა მგონია, რომ რომელიმე პო-

ლიტიკურ ლიდერს ესმოდეს. თუ არ ესმის, უბრალოდ, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხიც.

– ქალბატონო ირინა, პრემიერმა ცალსახად განაცხადა, რომ არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო..

– ახლა რა განცხადებებს აკეთებს ივანიშვილი წინსწრებით, ამაზე კამათს ნუ შევუდგებით, იმიტომ რომ ბევრი რამ მან ისეთიც თქვა, მათ შორის იმ სფეროზეც, რომელიც მას ჩემზე და ბევრზე კარგად ესმის – ეკონომიკაზე, სადაც მერე აღმოჩნდა, რომ შეცდომა დაუშვა და თვითონვე თქვა, შეგვეშალაო. ტარიფების კლებასა და რაღაცებზე რომ იყო საუბარი. ამიტომ ეს წინსწრები განცხადებები ივანიშვილის მხრიდან, განსაკუთრებით პოლიტიკის სფეროში, მაინცდამაინც გასათვალისწინებელი არ არის, იმიტომ რომ ის შეიძლება იყოს მისი სურვილი ან, უბრალოდ, ემოციით გამოწვეული განცხადება და ხვალ შეიცვალოს.

– კარგით, გვარებზე ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ ხედავთ დღეს ისეთ კანდიდატს, რომელზეც შეიძლება შეჯერდეს ოპოზიციური ერთობა?

– რასაკვირველია, ვხედავ, მაგრამ ჯერჯერობით არ მინდა ამაზე ლაპარაკი. აბსოლუტურად ნათლად ვხედავ ისეთ კანდიდატს, რომელზეც შეიძლება, ნორმალურმა ადამიანებმა მოილაპარაკონ, მაგრამ, რამდენად გვაქვს ჩვენ ნორმაში მყოფ პარტიებთან საქმე, ეს სხვა საკითხია უკვე.

– ითქვა, რომ რამდენიმე პოლიტიკური პარტია მართავს კონსულტაციებს...

– თუ შეთანხმდებიან დღეს არსებულ რომელიმე პოლიტიკურ ლიდერზე, გამართონ, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, წინასწარ ვიცი, რომ ასეთი შეთანხმების ალბათობა არის მემილიონედი პროცენტი, იმიტომ რომ აბსოლუტურად გამორიცხულია, პარტიებს შორის შუღლი დაამარცხოს ქვეყნის წინაშე მდგომმა პრობლემებმა. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება.

– გამოსავალს ხედავთ რამეში?

– მე ვხედავ გამოსავალს. საკამათო მხოლოდ ის არის, რამდენად რეალურია ეს გამოსავალი, რადგან ყველაფერი მაინც დადის ადამიანურ რესურსებამდე. გამოსავალი ნამდვილად არის უძლიერესი, მართლაც რეალური მესამე ოპოზიციური ძალის შექმნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ განსხვავებული სახელები და გვარები, არამედ განსხვავებული ხედვა როგორც ქვეყნის შიდა მოწყობაზე, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. სხვა შემთხვევაში, იმ პროცესის დასასრულს, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მე ვერ ვხედავ ანუ უსამართლობის, ეკონომიკური სიდუხჭირისა და ძალიან ბევრი სხვა ისეთი მტკივნეული პრობლემის, რომელიც დღეს წინა პლანზეა. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, 17 მაისს ხალხის აქტიურობის თვალსაზრისით ოპტიმიზმი მომემატა, მაგრამ ეს უფრო ემოციური ოპტიმიზმია. მე დავინახე, რომ 17 მაისს, როგორც ერთი, ისე დადგა უდიდესი უმრავლესობა, ყოველგვარი ორგანიზების, სარეკლამო კლიპებისა და განსაკუთრებული მაღალი ტრიბუნებიდან მოწოდებების გარეშე, როცა საქმე შეეხო უკვე კატეგორიულად ძალიან მიუღებელ თემას, ამას ხაზს ვუსვამ, არა ჰომოსექსუალისტების არსებობის გამო, არამედ მათი მხრიდან ჰომოსექსუალისტების წახალისებისა და პროპაგანდის შემთხვევა მაქვს მხედველობაში. საერთოდ, როცა ძალადობაზე საუბრობენ, დაიწყონ საუბარი იქიდან, რომ ძალადობა დაიწყო სექსუალური უმცირესობების თემის წინ გამოწევით. რამდენად იყვნენ თვითონ ეს არაჯანსაღი ადამიანები ამის თაობაზე ინფორმირებულნი, სხვა საქმეა. მე მგონი, მათთვის არც არავის უკითხავს არაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თემა იყო თავდამსხმელი საქართველოს მოსახლეობაზე, ეს თემა იყო მოძალადე და ამ ძალადობაზე კიდეც მიიღო პასუხი. რაც შეეხება ხალხს, ხალხი ახლა არის აშკარად დამუხტულ მდგომარეობაში. თუ ჩვენ მოვასწრებთ და სანამ არ ჩაგვეძინა ყველას ისევ საღათას ძილით, მანამდე მოვასწრებთ რაღაცსწორი ნაბიჯების გადადგმას, ძალიან კარგი, მაგრამ ეს ყველაფერი დამოკიდებულია ისევ და ისევ დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრზე, უფრო სწორად, პოლიტიკური სპექტრის იმ ნაწილზე, რომელიც თუნდაც თამაშგარე მდგომარეობაში იყოს დღეს, ჩემგან და ბევრი ჩემნაირისგან განსხვავებით, ფლობს რაღაც საშუალებებს, რომ როგორც ორგანიზაციამ, იფუნქციონიროს.

– თქვენ გეგულებათ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძლიერ ოპოზიციურ ცენტრს შექმნიან?

– რასაკვირველია, მეგულება, თუმცა ამ ყველაფერს ფინანსები სჭირდება. მე და ჩემნაირებს კი ამის საშუალება არა გვაქვს. ჩემი აქტიურობა გამოიხატება მხოლოდ იმით, რომ მოგცეთ ინტერვიუები, ვაკეთო განცხადებები და ვიყო აქტიური სოციალურ ქსელში. დღეს ოპოზიციამ რაღაცები უნდა დათმოს იმისათვის, რომ გარკვეულ საერთო შედეგებამდე მივიდეთ. სხვა შემთხვევაში, თუ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატების სიმრავლე, რომელიმე მათგანი ან ყველა ერთად იქნება გამოყენებული ისევ რაღაც აჟიოტაჟისა და არეულობისთვის, რითაც ისარგებლებენ ნაცები და ოცნება, რაც იქნება დასაბამი იმისა, რომ მომავალი პარლამენტიც ორპარტიული იქნება, რაც სრულიად დაუშვებელია. გამოსავალი არსებობს, თეორიულად ის სულ იარსებებს, პრაქტიკულად რამდენად რეალურია, ეს დამოკიდებულია ადამიანურ რესურსებზე და უფრო მეტად ამ ადამიანების ტვინში მომხდარ ცვლილებებზე, თუ ასეთი რამ მოხდა.

„ნაციონალები გულდაწყვეტილი არიან, 17 მაისს მძიმე შედეგი რომ არ მიიღეს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანთან

– ქალბატონო ნანა, როგორც ექსპერტმა და როგორც ყოფილმა სახალხო დამცველმა, მინდა, რომ 17 მაისის პროცესები შეაფასოთ. იყო საკმაოდ დიდი აგრესია, თუმცა საუბარია, რომ პროვოკაცია წამოვიდა უმცირესობის მხრიდან. რას ფიქრობთ თქვენ?

– ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც ცდილობს დღევანდელი უმცირესობა, რომ წარმოაჩინოს. მე მარტო პოლიტიკურ უმცირესობაზე კი არ ვამბობ, ვამბობ იმ უმცირესობის დამცველებზე. არაფერი ისეთი კატასტროფა არ მომხდარა. მაგაზე მძიმე შედეგებით დამთავრდა 2007 წლის 7 ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისი, მაგრამ არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია. ეტყობა, ჰეტეროსექსუალები შეიძლება მოკლა და მაღაზიის სახურავზე შემოაწყო და მაგათ არ შეიძლება, რომ ხელი მოხვდეთ. უბრალოდ, სირცხვილია ეს ყველაფერი. ასეთი ორმაგი სტანდარტები. არაფერი ისეთი საშინელი არ მომხდარა. იძახოდნენ, აბა, იმას თავი აქვს გატეხილი, იმას ხელი აქვს მოტეხილი და არც ერთს არაფერი არ ეტყობათ. აგრესია იყო, მაგრამ არავინ არ ამბობს ხმამაღლა ერთ რაღაცას, რომ ეს აგრესია დიდ წილად გამოწვეულია იმით, რომ ყველა ეს ჯგუფი, რომლებიც მუდმივად რაღაც პროვოკაციებს მართავენ, ხალხისთვის არის გაიგივებული იმ საძულველ რეჟიმთან – ნაციონალურ მოძრაობასთან.

– დიახ, ქალბატონო ნანა, საუბარია, რომ ხალხმა 9 წლის მანძილზე დაგროვილი აგრესია გამოავლინა...

– ეს არის, დიახ, სწორედ ეს. არა ვართ ჩვენ ახლა ორდინალურ ვითარებაში. ხალხი 7 თვეა ელოდება, რომ იქნება რაღაცა რადიკალური ცვლილებები და გადაყვა ეს ყველაფერი მაგათთან კოჰაბიტაციას და კიდევ ზედმეტად ხომ არ უნდა გააღიზიანონ ადამიანები, არა! მე ერთი რაღაცა მაინტერესებს, კაცო, რატომ მაინცდამაინც ქაშვეთის წინ? თუ მაინცდამაინც პარლამენტის წინ უნდოდათ მოწყობა, ქუთაისში წასულიყვნენ, პარლამენტი იქ არის გადატანილი. რაღა მაინცდამაინც 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან?! რეიგანის ძეგლთან გაემართათ, იდეოლოგიურად მაგათთან არის ახლოს. რიყეზე რომ სულელური სკვერი გააკეთა სააკაშვილმა, იქ რატომ არ გააკეთეს? იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, სად აკეთებ?

– საუბარია, რომ თავიდანვე იდო პროვოკაციის მარცვალი, სწორედ ამ ადგილის გამო...

– მე გეტყვით, გულდაწყვეტილები არიან, რატომ არ მიიღეს მძიმე შედეგები. მაგათ ინტერესებში იყო, რომ რაღაცა საშინელება მომხდარიყო, ვინმე დაღუპულიყო და ეს რომ არ მოხდა, არიან ძალიან გულდაწყვეტილები. უნდა გითხრათ, ანაფორიანი ხალხისკენ ხელს რომ იშვერენ, მამაოები რომ არ ჩამდგარიყვნენ შუაში, შეიძლება ბევრად უფრო მძიმე შედეგები ყოფილიყო.

–ეს იყო წინასწარ გამიზნული პროვოკაცია?

– რა თქმა უნდა. ვისი მოფიქრებულია, ეს ყველამ იცის. მე მივალ იქ, რომ იძახოდა უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლი... უნდა მიხვდე, რომ ყოველთვის ასეთი ჩანაფიქრების უკან დგას ეს ვიწრო ჯგუფი. როდემდე შეიძლება, რომ ქვეყანას პრობლემები შეუქმნას ამ ადამიანების მცირე ჯგუფმა, რომელიც არავის ინტერესებს არ გამოხატავს.

– გაიძახიან, რას იტყვის დასავლეთიო...

– რას იტყვის დასავლეთი? დასავლეთმა რა თქვა, „იმედში“ რომ შეცვივდნენ და ორსული ქალები იატაკზე დაყარეს და ავტომატები მიუშვირეს?! რა თქვა დასავლეთმა, 26 მაისს ხალხი რომ დახოცეს და აწამეს პოლიციაში. რა თქვა?! შეშფოთდებიან და შეშფოთდნენ, რა ვუყოთ ახლა? მაგათი ბუნებრივი მდგომარეობაა ეს შეშფოთება. ახლა ჩვენ გვკითხონ, რამდენი რამის გამო შეშფოთებულები კი არა, აღშფოთებულები ვართ.

– ნატოში აღარ მიგვიღებენო და მხოლოდ ამ კრიტერიუმით იზომება ნატოში შესვლა?

– რა ვიცი, აბა, აქამდე ხომ შესულები ვართ, მაპზე უკეთესი გვაქვს მიღებული? რა ნატო, რის ნატო? რაც მაგათ 9 წელი აკეთეს, ეს ნატოს სტანდარტები და ევროპული სტანდარტები იყო? მაშინ რატომ არ გვექმნებოდა პრობლემები? 670 ადამიანი ჰყავთ მარტო ციხეში მოკლული, გარეთ დახოცილებზე აღარაფერს ვამბობ და უკანონო პატიმრებზე.

– ქალბატონო ნანა, ფაქტია, რომ საკმაოდ დიდი აგრესიაა საზოგადოებაში დაგროვილი და რამდენად საშიშია ეს ყველაფერი. ხალხი გაღიზიანებულია, ხელისუფლება აჭიანურებს სამართლიანობის აღდგენას და ხალხი გადასულია პირად შურისძიებაზეო. ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ ეს ყველაფერი უმართავ პროცესებში გადაიზარდოს?

– მადლობა ღმერთს, რომ ჯერ არ არის გადასული, მაგრამ ეს გადავა აუცილებლად. იმიტომ, რომ ასე თავისუფლად რომ დადიან დამნაშავეები, ვისაც კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი, პროკურატურაში ისევ ის პროკურორები სხედან, ვინც საქმეებს უთითხნიდნენ და აკოტრებდნენ ადამიანებს და ციხეში უკანონოდ უშვებდნენ. ვინც დაგჩაგრა და ციხეში უკანონოდ წლები გამოგკეტა, ის ქუჩაში რომ შეგხვდეს, ან პროკურატურაში საჩივლელად რომ მიხვიდე და იქ დაგხვდეს, შენ გამორიცხავ, რომ ადამიანს ნერვებმა უღალატოს?! მე სულ არ გამოვრიცხავ.

– ჩვენ ვნახეთ, რომ საზოგადოება შეიკრიბა სპორტის სასახლეში და მოითხოვეს ხელისუფლებისგან სამართლიანობის პროცესის აღდგენა დაჩქარდეს. როგორ ფიქრობთ, მოუსმენს ამ კონკრეტულ ჯგუფებს ხელისუფლება?

– საქმე ისაა, რომ საზოგადოებამ ყოველთვის უნდა შეახსენოს. იმის იმედზე ყოფნა, რომ კეთილი ხელისუფალი მოვიდა და ის თვითონ გააკეთებს რაღაცას, არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება ეს, თუნდაც დემოკრატიულ ქვეყნებში. საზოგადოებამ ყოველთვის თავისი ხმა უნდა მიაწვდინოს ხელისუფლებას. აქამდე რაც არ გაკეთდა, კეთილი უნდა ინებონ და ახლა უნდა გააკეთონ. კარგით, თუ მოსამართლეების საკითხი ჯერ ვერ გვარდება, პროკურორების საკითხის გადაწყვეტა არ უნდა იყოს ისეთი პრობლემური, ხომ?! ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანები მაინც უნდა ჩამოაშორონ სისტემას, რომლებსაც თვითონ აქვთ წვლილი ამ უბედურებაში, რაც ხდებოდა. როგორ, ადეიშვილი თუ დავალებას აძლევდა, ის კონკრეტული პროკურორი იმ დავალებას ასრულებდა.

– ფაქტია, რომ საზოგადოება იმედგაცრუებულია, სულ სხვა იყო წინასაარჩევნო დაპირება და სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა ამომრჩეველი...

– კი, ასეა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს ჩვენ, რომ ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებია მოსალოდნელი და ხელისუფლება, როგორც არ უნდა უნდოდეს, იძულებული იქნება, რომ რაღაცა ნაბიჯები გადადგას, თორემ საშინელი შედეგი იქნება. ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ნაციონალები მოიგებენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მათი შედეგი იქნება საშინელი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„ყველა მეთოდით უნდა ვიბრძოლოთ, რომ თბილისის ცენტრში გეიაღლუმი აღარ ჩატარდეს“

შორენა გონგლაძე

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც არაერთხელ წამოიწია თემამ უცხოელებზე მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით, რატომღაც ამ საკითხმა ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია ვერ დაინტერესა. მართალია ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან გარკვეული წამოკნავლება აქა-იქ ნამდვილად იყო, მაგრამ ეს თემა რატომღაც ფართოდ არ გაშლილა. მიწების გასხვისების საკითხით რეალურად მხოლოდ ერთი პარტია, ქრისტიან-დემოკრატები დაინტერესდნენ.

– ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების პროცესის შეჩერებას, – ეს განცხადება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა, გიორგი თარგამაძემ გუშინ, „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, ისინი ამ საკითხს აუცილებლად ბოლომდე მიიყვანენ.

– ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ პარლამენტში ვიყავით, მსგავსი პროცესი არ მიმდინარეობდა, მხოლოდ, 2012 წლის ზაფხულში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო მიწების გასხვისება უცხოელებზე. მედიას არაერთხელ გაუშუქებია ის, რომ ჩინელები, ინდოელები, ირანელები ყიდულობენ მიწას, ძალიან მალე, შეიძლება ჩვენ მივიღოთ სურათი, რომ მიწების უცხოელებზე ასეთი დაუფიქრებელი გასხვისების შედეგად, ქართველ კაცს გამოეცალოს საარსებო ნიადაგი. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტს თავის პოლიტიკურ დღის წესრიგში არ აქვს იმაზე მნიშვნელოვანი საკითხი განსახილველი და მისაღები გადაწყვეტილება, როგორიც არის საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გაყიდვის პროცესის შეჩერება და მკაცრი რეგულირება. ამიტომაც ჩვენ შევიტანეთ პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება, გარკვეული პერიოდი დაველოდებით, ორისამი კვირა სრულიად საკმარისია, რომ პარლამენტმა გამოხატოს თავისი პოზიცია ამ საკითხისადმი. თუ ჩვენ შევამჩნიეთ მათ ინერტულობა, ჩვენ მივმართავთ სხვა პოლიტიკურ მეთოდებს, მივმართავთ ჩვენს საზოგადოებას, დავიწყებთ აქტიურ სარეფერენდუმო მოძრაობას, რომლის მიზანიც იქნება 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება და ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანა. მიწების გასხვისების პროცესი უნდა შეჩერდეს. ეს არის ჩვენი მკაცრი პოზიცია ამ საკითხისადმი, – აცხადებს თარგამაძე.

გიორგი თარგამაძის თქმით, „ქრისტიან-დემოკრატები“ საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში აქტიურად ერთვებიან.

– საკმაოდ საინტერესო საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია გველის. არ ვიცი მოხერხდება თუ არა კონსოლიდირებულ კანდიდატზე შეთანხმდეს არასაპარლამენტო ოპოზიცია, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ამ მოლაპარაკებებისათვის. ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას გვაქვს ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგი, რაც ითვალისწინებს საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღებას, ამ ეტაპზე განვიხილავთ მონაწილეობის ფორმას და არა კანდიდატს. ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ვერსიას, ეს არის პირველ რიგში საზოგადოების ფართო ფენებისათვის მისაღები არა იმდენად პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანი, მაგრამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების, რომელიც შეძლებს არბიტრის როლის თამაშს და საკუთარი მიუკერძოებელი ფუნქციის შესრულებას. ეს თუ ვერ ხერხდება, მეორე ტიპის პრიორიტეტს წარმოადგენს გარკვეულ პარტიათა კოალიციის მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომელიც შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი და ამის პარალელურად აქტიურად განვიხილავთ საკითხს, საპრეზიდენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლის მონაწილეობით. ასე რომ, ეს სამივე ვერსია წარმოადგენს სამუშაო ვერსიას და შემიძლია გითხრათ, რომ არანაირი გარანტია იმისა, რომ რომელიმე კანდიდატი, მათ შორის ისინი, რომლებიც დასახელდნენ, პირველივე ტურში მიაღწევენ დამაჯერებელ გამარჯვებას, ასეთი გარანტია უკვე აღარ არსებობს, რაც ძალიან კარგია და სძენს ინტრიგას და ინტერესს საარჩევნო პროცესს, ეს, ჩემი აზრით, უკვე არის წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში დემოკრატიული კონკურენციისათვის, – აცხადებს თარგამაძე.

გიორგი თარგამაძემ 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა, მისი თქმით, საზოგადოების შთამბეჭდავი ნაწილი გამოვიდა მიუღებლობის წინააღმდეგ. მისი თქმით:

– ეკლესია მოწოდებულია მშვიდობის და სიყვარულისკენ. 17 მაისს შემდეგ გარკვეულმა ჯგუფებმა ჩათვალეს, რომ მათი დრო მოვიდა, მაგრამ ეს არავის აშინებს. გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების წესი არის არანორმალური. აქ საუბარია საჯარო სივრცეში პროპაგანდაზე, რადგანაც ამ ადამიანებს სახლში არავინ უვარდება. ამიტომაც, ჩვენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ყველა მეთოდით უნდა ვიბრძოლოთ. თუ არ გვინდა, რომ თბილისის ცენტრში გეიპარადები ტარდებოდეს, და ვხედავთ, რომ ამ ტიპის აღლუმების დამაგვირგვინებელი აკორდი შეიძლება იყოს ერთსქესიანთა ქორწინება. ამისთვის საჭიროა რამდენიმე უწყინარი ფრაზის ჩამატება ჩვენს კონსტიტუციაში, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამიტომაც ჩვენ, საზოგადოებრივი პროტესტის სხვა ფორმებთან ერთად, უნდა გამოვიყენოთ სხვა მეთოდები. ამიტომაც ჩვენ, „ქრისტიან-დემოკრატები“, ვაპირებთ საზოგადოებასთან ერთად ვიბრძოლოთ სხვადასხვა მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გამოდის სასულიერო პირების მიმართ მკაცრი ნაბიჯების გადადგმით, მათი განცხადებები არაადეკვატურია, – აცხადებს თარგამაძე.

„ნაციონალები გულდაწყვეტილი არიან, 17 მაისს მძიმე შედეგი რომ არ მიიღეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– თქვენ საპრეზიდენტო არჩევნები ახსენეთ და ყველა ელოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ნინო ბურჯანაძე და ჩვენ ვნახეთ, რომ სახალხო კრებამ მისი კანდიდატურა წამოაყენა... რა შანსები აქვს მას?

– საკმაოდ კარგი შანსები აქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რეჟიმის რღვევა რეალურად დაიწყო 2011 წლის 26 მაისს და მხოლოდ რამდენიმე თვის მერე გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილი. ის რომ ამით სახალხო კრებამ საბოლოოდ ნიღაბი ჩამოხსნა ხელისუფლებას, ეს ფაქტია. ის სისატიკე, რაზეც ჩვენ ყველას გვქონდა ინფორმაცია, უბრალოდ, ძალიან თვალსაჩინო გახდა, ისეთი ფაქტები მოხდა 26 მაისს. ნინო ბურჯანაძის აქტივშია ისიც, რომ რაკი კოალიციამ არ ისურვა მასთან თანამშრომლობა, ის არ გავიდა არჩევნებზე. მოდით, ასე ვთქვათ, ხელი არ შეუშალა.

– და ბურჯანაძის შანსები კიდევ უფრო გაიზრდება თუკი ეს ხელისუფლება ასე გააგრძელებს?

– რა თქმა უნდა, ასე თუ გააგრძელებს და ჯერჯერობით, აი, ასე მიდის ყველაფერი ტაატით, რა თქმა უნდა, მას ძალიან სერიოზული შანსები აქვს.

– ნაციონალები ჯერჯერობით თავს იკავებენ კანდიდატურის დასახელებისგან...

– ჯერ ერთი, მაგათ არ ეჩქარებათ, ელოდებიან, რომ რაც შეიძლება დისკრედიტირებული მივიდეს არჩევნებამდე ახალი ხელისუფლება და მეორეც, კადრები იმდენად არ ჰყავთ, რომ თუ გაიხსენეთ, მთელი 9 წელიწადი ერთი და იმავე სახეებს კარუსელში ატრიალებდა საკაშვილი და მათი დიდი ნაწილი არის საბოლოოდ დისკრედიტირებული. ახლა ლაპარაკია დავით ბაქრაძეზე, რომელიც ნაკლებად გამაღიზიანებელიაო, მაგრამ შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატი იყოს ადამიანი, რომელიც ომის დროს ტირილით ეუბნება მოსახლეობას, დანა-ჩანგლით დაიცავი თავიო? სრულიად გაუგებარია ეს. მარტო ის ხომ არ არის, რომ გამაღიზიანებელი არ იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი. რაღაცა აქტივიც ხომ უნდა ჰქონდეს?!

– ითქვა, რომ თავად არ სურს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაო...

– ისიც ითქვა, რომ თითქოს პოლიტიკიდან წასვლას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ დაუდასტურებია. მე ისევ აქციას დავუბრუნდები, 17 მაისის მოვლენები იმანაც განაპირობა, რომ ამდენი წელიწადი ითრგუნებოდა ის, რაც ამომრჩევლისთვის არის უმთავრესი და ეს ეხება სწორედ ამ მართლმადიდებლურ ღირებულებებს. როდესაც ცდილობენ, რომ შენ თავს მოგახვიონ აღიარო ის მოვლენა, რასაც შენი სარწმუნოებით ჰქვია ცოდვა და თქვა, რომ ეს კარგია, მისაღებია და მისალმო ამას, ამის გადატანა არის ძალიან რთული.

– რამდენად შეეცადნენ მართლმადიდებლობის და ეკლესიის დისკრედიტაციას ამ აქციის ორგანიზატორები?

– ყველანაირად ცდილობენ. 17 მაისიდან მოყოლებული სულ ამაზეა ლაპარაკი. რატომ არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ პოლიციამ პირველად მოახერხა, შეიარაღების და ძალადობის გარეშე, ხაზგასმით ვამბობ – ძალადობის გარეშე, მაინც მოახერხა, რომ მძიმე შედეგები აერიდებინა თავიდან. კი დაზარალდნენ პოლიციელები, მაგრამ მათ არ იძალადეს საკუთარ მოსახლეობაზე და ახლა ამის არ დანახვა, ეს არის უბრალოდ უსინდისობა.

– უნდა ეძალადათო, ქალბატონო ნანა, ხომ მოისმინეთ, როგორ განცხადებებს აკეთებდნენ...

– ეს ხალხი არის ძალადობის მომხრე და ამის დემონსტრირებას ახდენენ ყოველდღე. ხომ ყველასთვის ნათელია, რომ ამათ უნდათ მოძალადე ხელისუფლება, რომლის წიაღშიც თვითონ გრძნობენ თავს კომფორტულად. ნებისმიერ სხვა ჩვენთაგანზე, მათი კლანის გარდა, ამ ვიწრო ჯგუფის გარდა, ყველა დანარჩენზე ძალადობა შეიძლება. მარტო მაგათზე არ შეიძლება თურმე ძალადობა.

– პოლიციას დააბრალეს ეს ყველაფერი. თუმცა გეთანხმებით, პოლიციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აქცია მძიმე შედეგებით არ დასრულებულიყო...

– აბა, რას იზამენ, ხომ არ იტყვიან ჩვენი ბრალიაო, ვიღაცისკენ ხელი უნდა გაიშვირონ, ამიტომ აკეთებენ ამას. თუმცა ამით პოლიციას ერთი წამით ჩრდილი არ ადგება. მე, მაგალითად, ძალიან კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ ასე ცივილიზებულად აქციები აღარც პარიზში ტარდება და აღარც ათენში. ყოველ შემთხვევაში, მძიმე შედეგები რაც შეიძლება ყოფილიყო – დამწვარი მანქანები, ჩამტვრეული ვიტრინები, ვიღაცა მოკლული, ვიღაცა სასტიკად ნაცემი, მადლობა ღმერთს, რომ ეს არ არის და ტყუილად ცდილობენ ახლა სიტუაციის გაბუქებას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „კანონზე მაღლა არავის დავაყენებთ“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ვანო მერაბიშვილის დაკავებაზე კომენტარი აზერბაიჯანში გააკეთა, სადაც იგი სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

– ერთი რამ უნდა ვთქვა, ჩვენ ქვეყანაში არავინ არ არის და არ უნდა იყოს კანონზე მაღლა. ყველა თანაბარია კანონის წინაშე. კანონი არის უზენაესი. ვიცი, რომ ძალიან სერიოზული ბრალი არის გამოკვეთილი. ჩვენი ხელისუფლების პირობებში არავინ არ იქნება პრივილეგირებული, მათ შორის – არც ვანო მერაბიშვილი. ჩემი პირველი მოადგილე დავაკავეთ, იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მითუმეტეს არაფერი უნდა იყოს გასაკვირი. თუ სასამართლო მათ დანაშაულს აღიარებს, მათ კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ მთელი სიმკაცრით, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ინფო9.ge

ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად 26 მაისის მერე დასახელდება

ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად მისი პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ წარადგენს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „სახალხო კრების“ წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, ეს, სავარაუდოდ, პარტიის ყრილობის შემდეგ მოხდება, რომელიც 26 მაისის შემდეგ ჩატარდება.

მისივე თქმით, „სახალხო კრების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად ნინო ბურჯანაძის დასახელება იყო მხოლოდ შეთავაზება და აღნიშნულ კანდიდატზე „სახალხო კრება“ ფართო მსჯელობისა და განხილვის შედეგად შეთანხმდა.

ირაკლი ბათიაშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მათი განცხადებები არის იმის შედეგი, რომ „სახალხო კრებას“ არ გაუმართავს კონსულტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არცერთ პარტიასთან.

ის აცხადებს, რომ „სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურაზე შეთანხმდა, რომ ის არის გამოცდილი პოლიტიკოსი და როდესაც ქვეყანა დგას უდიდესი გამოწვევების წინაშე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ქვეყანას სჭირდება არა უფუნქციო პრეზიდენტი, არამედ გამოცდილი პიროვნება და დიდი კვალიფიკაციის პოლიტიკოსი.

მედიანიუსი

დავით საყვარელიძე: „ამით, პირიქით, გვაძლიერებთ“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ოპონენტების დაკავებით ხელისუფლება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აძლიერებს. მან განცხადება ამის შესახებ ფეისბუკის გვერდზე გამოაქვეყნა.

„ადამიანის და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“.... ორი განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი დაიჭირა ბატონმა ბიძინამ. საქმე იმდენად სასაცილოა, რომ საშიში და ხმამაღალი სახელწოდება მოიფიქრეს. რამდენი პოლიტიკური ოპონენტი უნდა დააკავოთ და რამდენი ხნით? ამით პირიქით გვაძლიერებთ“, — აცხადებს დავით საყვარელიძე.

მედიანიუსი

ნონა გაფრინდაშვილი: „ივანიშვილზე სერიოზული ზეწოლაა“

შორენა გონგლაძე

– მე დაზუსტებით ვიცი, რომ სერიოზული ზეწოლა ხორციელდება ბიძინა ივანიშვილზე, – ეს განცხადება სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა, ნონა გაფრინდაშვილმა, გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პერსკონფერენციაზე გააკეთა.

– მე ვიცი, რომ სერიოზული ზეწოლაა ბატონ ბიძინა ივანიშვილზე. როგორც წარმოგიდგენიათ, საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან აგორებულია ის, რომ სააკაშვილი იყო დემოკრატიის შუქურა. მაგრამ რაც არ უნდა ზეწოლა იყოს, მე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი თანდათანობით მიიღებს თა-

ვის სახეს და რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს, დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაცია დაუშვებელია, – აცხადებს გაფრინდაშვილი.

ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ კონფრონტაციაში არ შევა.

როგორც გაფრინდაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქართული ოცნება“, პირველ რიგში, არის ბიძინა ივანიშვილი და მის მიერ რეჟიმის დამარცხება დასაფასებელი და პატივსაცემია. „სახალხო კრება“ უკვე დიდი ხანია ნინო ბურჯანაძესთან თანამშრომლობს. მე თავიდანვე მახსოვს ხალხის უარყოფითი რეაქცია მის მიმართ, მაგრამ მალე აგრესიული სტვენა ტაშში გადაიზარდა. ბურჯანაძესთან კრიტიკული კითხვები ჩვენც გვქონდა, თუმცა მისგან პასუხები მივიღეთ. უშეცდომო ადამიანი, მით უმეტეს პოლიტიკოსი, არ არსებობს. მთავარია, მან შეცდომა აღიაროს. ბურჯანაძეს უზარმაზარი გამოცდილება აქვს, განათლებულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ფუნქციას, რაც საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა საერთაშორისო ასპარეზზე უნდა განახორციელოს, ბურჯანაძე ყველაზე კარგად შეასრულებს. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, კარგად იცით, რომ ის თავიდან „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ თანამშრომლობდა და ბურჯანაძესთან ახლაც კარგი ურთიერთობა აქვს, – განაცხადა გაფრინდაშვილმა.

ამასთან, იგი გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა იმის შესახებ, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შეესაძლოა კანდიდატურა მოხსნას.

– აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით, რომ „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის საპრეზიდენტო კანდიდატზე არანაირი მოლაპარაკებები არ არსებობს, მაგრამ თუ კოალიცია კანდიდატურას მოხსნის, მე ამას მხოლოდ მივესალმები. ნინო ბურჯანაძეზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მან რეჟიმის დასამარცხებლად მთელი თავისი ოჯახი გაწირა და ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს, – განაცხადა გაფრინდაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით არავის ვდევნით“

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მეჩაბიშვილის დაჯავების ფაქტთან დაჯავშირებით კომენტარი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. ივანიშვილის განცხადებით, სასამართლო პროცესს უნდა დავველოდოთ და მეტი გაკეთდეს კომენტარები.

ივანიშვილმა მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარი ჟურნალისტებთან ექსპერტთა კლუბში გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

– მერაბიშვილი დააკავეს თუ დაიბარეს? ჩემგან რას ელოდებით? მე ვფიქრობ, უნდა დაველოდოთ სასამართლოს. კითხვები არსებობს წინა ხელისუფლების მიმართ, მათ შორის, მერაბიშვილის მისამართით. სანამ სასამართლო არ იქნება, არაფერი უნდა ვამტკიცოთ, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, საქართველოში პოლიტიკური დევნა არ ხორციელდება და ის ამას არც დაუშვებს. მისი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს ნინო ბურჯანაძეც მოუგებდა და სხვა ნებისმიერი წარმომადგენელიც.

ასეთი კომენტარი მან „სახალხო კრების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დასახელების ფაქტთან დაკავშირებით გააკეთა.

– „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, ჩემი აზრით, მოუგებს ნინო ბურჯანაძეც და სხვა ნებისმიერი წარმომადგენელიც, რომელიც დასახელებული იქნება საზოგადოების მხრიდან. ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილს კონკურენტი არ ჰყავს და ის პირველსავე ტურში გაიმარჯვებს. ჩვენ ძალიან გამჭვირვალე და წესიერ არჩევნებს ჩავატარებთ, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი ასევე გამოეხმაურა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვაკანტურ პოსტზე ვახტანგ ყოლბაიას წარდგენას.

– შესაბამისი სტრუქტურები მსჯელობენ ამ საკითხზე, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერში როგორც მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ისე პრეზიდენტი სააკაშვილიც მოიხსენიება.

– მე თავს ვიკავებ დაუსაბუთებელი განცხადებებისგან. გირგვლიანთან დაკავშირებით შემიძლია გავიმეორო სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერი, რომელშიც შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი მოიხსენიება და პრეზიდენტიც კი. ასეთი ჩანაწერია, რომ პრეზიდენტის დონეზე ყველანი ხელს აფარებდნენ და გამოძიებას აფერხებდნენ, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ პრეზიდენტი, პრემიერი, სასულიერო პირი და ყველა სხვა კანონის წინაშე თანასწორია.

ის ასევე გამოეხმაურა სოფლის მეურნეობის სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს. ივანიშვილი მომხრეა, რომ გამოძიების დასრულებამდე სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრის კანდიდატურა არ იყოს წარდგენილი.

რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა, უდანაშაულობის დამტკიცების შემთხვევაში კირვალიძე თანამდებობაზე დაბრუნდეს, ივანიშვილი აცხადებს, რომ ძალიან მოხარული იქნება, თუ მისი უდანაშაულობა დამტკიცდება.

– მე ვფიქრობ, რომ 24 მაისამდე გამოძიება დასრულდება. პროკურატურიდან მაქვს ინფორმაცია. ვფიქრობ, უნდა დაველოდოთ გამოძიებას. პროკურატურა ამტკიცებს, რომ საკმარისი მასალები აქვს. თუ არ იკვეთება კირვალიძისა და, საერთოდ, დანაშაულებრივი ქმედება, შემდეგ გავაკეთოთ დასკვნები, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა 17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა მინისტრი ეჭვობს, რომ 17 მაისს ლგბტ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი აქცია გარედან იყო მართული და დაფინანსებული.

– ქართველი საზოგადოება არ არის ექსტრემისტული. შს მინისტრს აქვს ეჭვი, რომ ეს გარედან იმართებოდა. იყვნენ ძალები, ვინც ამას ახალისებდნენ, აფინანსებდნენ. შს მინისტრს ეჭვი აქვს, რომ ის, რაც მოხდა 17 მაისს, ბუნებრივად არ მომხდარა. ეჭვის დონეზე მე ვიზიარებ მის პოზიციას, – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, თუ რომელი ძალები იმართებოდნენ გარედან, ივანიშვილი პასუხობს – „ვინც ძალადობდა“, თუმცა კითხვები შეიძლება, არსებობდეს მეორე მხარის მიმართაც.

– მაგრამ ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური პასუხი იქნება. რაღაც ეტაპზე თითქოს უფრო მკვეთრ ქმედებებს ელოდა საზოგადოება და შესაძლებლობა იყო კიდეც პოლიციის მხრიდან ამის გაკეთება, მაგრამ ვფიქრობ, პოლიცია აბსოლუტურად ადეკვატურად მოიქცა და ჩვენ მივიღეთ მინიმალური ზარალი. ახლა ჯობია, მოხდეს კანონდამრღვევების იდენტიფიცირება და სათითაოდ აგებინონ პასუხი, ვიდრე იმ აჟიტირებულ მასასთან შებმა, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, ეკლესიის მსახურება ვერ იქნება ალიბი ვერავისთვის, ვინც კანონი დაარღვია.

მან უპასუხა კითხვას – ექნებათ თუ არა მომავალ 17 მაისის ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებს ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის გამართვის შესაძლებლობა.

– გარანტიას გაძლევთ, რომ მომავალ 17 მაისამდე და უფრო ადრეც, რამდენიმე თვეში დალაგდება ეს სიტუაცია. რაც მოხდა, ეს იყო სირცხვილი. ეს არ იყო არც ქართული ხასიათის გამოხატულება და არც ქრისტიანული საქციელი. ის, რაც მოხდა, დასაგმობია. ვფიქრობ, პოლიციის მოქმედება იყო ადეკვატური, რომ გაარიდეს მაინც უმცირესობა ადგილს და დარბევა არ მოხდა. ეკლესიის მსახურება ალიბი ვერავისთვის

იქნება, ვინც გადააჭარბა კანონს, ჩაიდინა ძალადობა ან მოუწოდა მისკენ, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, შს მინისტრისა და სამართალდამცველების მხრიდან არსებობს მზაობა და კანონდარღვევის ფაქტებზე დაისჯება ყველა – იქნება ეს საერო პირი თუ სასულიერო. ივანიშვილის განცხადებით, სამართალდამცველების შემდგომი ქმედებებით პასუხი გაეცემა იმ სამართლიან კითხვებს, რომლებიც დასავლეთში ამ ფაქტთან დაკავშირებით დაისვა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გუშინ, როგორც აღვნიშნეთ, ექსპერტთა კლუბის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე, როგორც ცნობილია, სხვადასხვა საკითხი იქნა განხილული.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც შეხვდა.

შეხვედრის დაწყებამდე პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბში პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ექსპერტებთან უკვე მესამედ იმართება.

შეხვედრაზე განხილული იყო, როგორც ინფორმაცია პრესსამსახურმა გაავრცელა, შემდეგი საკითხები: ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და მართვის პერსპექტივა, პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობა, თანამდებობრივი ამნისტიის მოსალოდნელი გამოწვევები და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე სხვა თემები.

შეხვედრაში დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები სოსო ცისკარიშვილი, თამარ ჩიქოვანი, რამაზ საყვარელიძე, მანანა ქოჩლაძე, ლია მუხაშავრია, ვახტანგ მაისაია, კახი კახიშვილი, პაატა გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ბერაძე და მარინა ბერაძე მონაწილეობდნენ.

ასევე მოწვეულ ექსპერტებს შორის – ირაკლი მენაღარიშვილი, ალექსანდრე რონდელი, გიორგი გოცირიძე, სერგო გოცირიძე, ელენე ხოშტარია, ბაქარ ბერეკაშვილი, ირაკლი კობახიძე, გელა ბანძელაძე და ბექა ნაცვლიშვილი.

გივი თარგამაძე: „ანაბრების დაბრუნება არარეალურად მიმაჩნია“

გამქრალ თუ შეჭმულ საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერტი სხვადასხვა ციფრს ასახელებს, ზოგი 5 მილიარდზე საუბრობს, ზოგიც 8 მილიარდს ასახელებს. ფაქტია, რომ ამ ეტაპამდე, რეალურად არაფერი გაკეთებულა და არც იმის გათვლა მომხდარა, რა არის გასაკეთებელი. იმ პერიოდიდან დიდი დრო გავიდა.

წინა ხელისუფლებამ ახლოსაც არ გაიკარა ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი დაპირება სწორედ ის იყო, რომ ამ ვალებს გაისტუმრებდნენ. მაგრამ, არაფერი გაუკეთებიათ.“ – აცხადებს დავით ონოფრიშვილი „გურია ნიუსთან“.

ბოლო პერიოდში, საბჭოთა ანაბრების მივიწყებული თემა კვლავ აქტუალური გახდა. ზოგი ფიქრობს,

რომ ივანიშვილის მთავრობა დააბრუნებს სახელმწიფოს დავალიანებას მეანაბრეების მიმართ, ზოგიც „ნაცმოძრაობას“ ახსენებს თავის დაპირებას ხელისუფლებაში მოსვლისას. ფაქტია, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში საბჭოთა ანაბრების საკითხი დღემდე გაურკვეველია. ყოფილმა მეანაბრეებმა არ იციან რა ბედი ელის მათ ანაბრებს, დაუბრუნდება თუ არა ოდესმე და ვინ არის დამნაშავე ამ პროცესებში.

საპარლამენტო უმცირესობის წევრს, გივი თარგამაძეს კი მიაჩნია, რომ საბჭოთა ანაბრების თემა პოპულისტური იყო ადრეც და ახლაც.

„გურია ნიუსთან“ საუბრისას ის აცხადებს, რომ მართალია ანაბრების თემა „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაპირება იყო, მაგრამ ის რეალობასთან ახლოს არ მივიდა და შესაბამისად, მისი დაბრუნებაც ვერ მოხერხდა.

– ბატონო გივი, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ დღევანდელი ხელისუფლების დროს მოხდეს საბჭოთა ანაბრების თემის შესწავლა და დაბრუნება დაზარალებული მეანაბრეებისთვის?

– ანაბრების დაბრუნება, რა თქმა უნდა, არარეალურად მიმაჩნია. ეს, რომ რეალობასთან ახლოს იყოს, ბუნებრივია, ყველას გვაქვს სურვილი სამართლიანობა აღდგეს და ხალხმა თავისი ნაშრომი დაიბრუნოს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ეს შეუძლებელია. საკმაოდ დიდი დრო გავიდა, შეიცვალა ყველაფერი და ძალიან რთულია ამ თანხების აკუმულირება. ადრეც იყო პერიოდები, როდესაც საბჭოთა ანაბრები პოპულისტურ თემად გამოიყენებოდა. მინდა გითხრათ, ახლაც მიმაჩნია, რომ ეს პოპულისტური თემაა.

– სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაპირებებში ეკავა საბჭოთა ანაბრების დაბრუნებას მნიშვნელოვანი ადგილი.

– დიახ, იყო ასეთი დაპირება, მაგრამ რეალობასთან არ მივიდა და ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

„გურია ნიუსი“

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედრო დაკრძალეს

ავღანეთში თავდასხმის დროს დაღუპული ქართველი სამხედრო უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე სამტრედიის რაიონის სოფელ კვირიკეში გუშინ დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო და დაღუპული სამხედროს ოჯახს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთ გმირს მივაბარებთ მიწას. ზვიადი გამორჩეული ადამიანი იყო. მან თავისი სიცოცხლე შეგნებულად დადო სასწორზე, შეგნებულად შესწირა თავი ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალს. ეს არ იყო გაუაზრებელი აქტი. ჩვენი ვალია მისი სახელი იყოს უკვდავყოფილი, ჩვენი ვალია ისე ღირსეულად ვიცხოვროთ, რომ როდესაც მოგვიწევს და მოგვეცემა შესაძლებლობა რომ ჩვენს ქვეყანას ბოლომდე ვემსახუროთ, თვალი თვალში გავუსწოროთ ზვიადს. ეს არის ადამიანი, რომელმაც ყველაზე დიდი, ღირსეული და მოსაფერებელი შესწირა ჩვენს ქვეყანას. ქედს ვიხდით მისი ოჯახის და მისი ხსოვნის წინაშე“ – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

უმცროსი სერჟანტი დავითაძე სამხედრო პატივით დაკრძალეს. ცერემონიალში IV ქვეითი ბრიგადის პირადმა შემადგენლობამ, საპატიო ყარაულმა და სამხედრო საჩვენებელმა მიიღო მონაწილეობა.

მედიანიუსი

თეა წულუკიანი სტრასბურში წავიდა

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სტრასბურში იმყოფება. რა კონკრეტულ შეხვედრებს გამართავს წულუკიანი სტრასბურში, უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ მინისტრი ევ-

როპულ შეხვედრებში მონაწილეობს.

როგორც იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, თეა წულუკიანი სტრასბურში ევროპარლამენტში იმყოფება და „სტრასბურგის ევროპული შეხვედრების“ მერვე კონფერენციაში მონაწილეობს.

ღონისძიება ევროპის ქვეყნების საჯარო სამსახურებში ქალთა საქმიანობის პრობლემებს ეხება. მინისტრის გარდა, მასში ევროპარლამენტის დეპუტატი ქალები, საფრანგეთის ქალთა უფლებების სამინისტრო, ფრანგი სენატორი და სტრასბურგის ყოფილი მერი ფაბიენ კელერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გავლენიანი ბიზნესწრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

კონფერენცია მრგვალი მაგიდის ფორმატში იმართება. საქართველოს იუსტიციის მინისტრი საკითხის განხილვაში მიიღებს მონაწილეობას. ამასთან, დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლა.

საგარეო უწყება სააკაშვილს პასუხობს

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში დაპირისპირება გრძელდება. ელჩების გამოწვევითა და ახალი ელჩების დანიშვნით დაწყებული კონფლიქტი ამოწურული არ არის. ამჯერად კონფლიქტის მიზეზი, როგორც პრესისთვისაა ცნობილი, პრეზიდენტის საერთაშორისო ვიზიტების შეუთანხმებლად დაგეგმვასა და შემდეგ ელჩებთან კოორდინირებულ მუშაობას ეხება.

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა საგარეო საქმეთა სამინისტროს არაკოორდინირებული ქმედება დასდო ბრალად. პრეზიდენტის განცხადებას საგარეო უწყება გამოეხმაურა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ვიზიტისას მას ელჩიც კი არ დახვედრია. ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის განცხადებით, ის საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტში პირადად დახვდა.

– სამარცხვინოა, როდესაც საგარეო უწყება საკუთარ არათანმიმდევრულობას პრეზიდენტის ადმინისტრაციას აბრალებს, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის წინა ვიზიტის დროს (24 აპრილი – 2 მაისი), ამერიკის სახელმწიფო მდივანთან ჯონ კერისთან შეხვედრას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ დარჩიაშვილი ესწრებოდა, თავად ელჩი არჩილ გეგეშიძე იმ პერიოდში ამერიკაში არც კი იმყოფებოდა, – ნათქვამია განცხადებაში.

– საელჩოს წარმომადგენლები და პირადად მე პრეზიდენტს აეროპორტში დავხვდით და ასევე გავაცილე, როდესაც ის ვაშინგტონიდან ნიუ იორკში მიემგზავრებოდა. რაც შეეხება ამჯერად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მის შეხვედრებს ვაშინგტონში, ჩვენი ინფორმაციით, პრეზიდენტმა ორი შეხვედრა გამართა. მას საელჩოსგან არაფერი მოუთხოვია და საღამოს დაგეგმვაში ჩვენი არანაირი მონაწილეობა არ ყოფილა, – განაცხადა გეგეშიძემ.

„კათარზისი“ მამაკაცთა თავშესაფარს ხსნის

სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს და არა მხოლოდ მოხუცებს ოჯახებში თუ არა, „კათარზისში“ სტუმრობისას მაინც აქვთ საშუალება, გაზაფხულზე ახლად შემოსულ ბოსტნეულს გაუსინჯონ გემო. სათნოების სახლის ხელმძღვანელობა ცდილობს, რეგიონებშიც მოახერხოს ანალოგიურად გამასპინძლება, მაგრამ ყველგან ეს ვერ ხერხდება მეცენატთა სიმცირის გამო. ჯერჯერობით ვერც მამაკაცთათვის ხერხდება თავშესაფრის შეთავაზება, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს და სათნოების სახლის მესვეურებსაც იმედი აქვთ, რომ ვითარება სიკეთისკენ შეიცვლება. „ახალი თაობა“ „კათარზისის“ ხელმძღვანელს, ბატონ ზაურ ალადაშვილს ესაუბრა.

მერი ნამორაძე

ზაურ ალადაშვილი:

– სეზონის მიხედვით იცვლება ჩვენი მენიუ. ამ კვირაში ბენეფიციარებს ვთავაზობთ შერეული ბოსტნეულის ბრინჯის სალათას, კიტრის სალათას, „ვინეგრეტს“, რაც შეეხება პირველ, მეორე თავ კერძებს, ისიც იცვლება ხოლმე სეზონის შესაბამისად.

– თბილისის „კათარზისი“ რამდენი ბენეფიციარის დაპურებას ახერხებს ამჟამად?

– ამჟამად 310 ბენეფიციარი გვყავს. გვყავს ადამიანები, რომლებიც საპენსიო ასაკის ჯერ არ არიან, რაღაცა გარემოებათა გამო წამოვიდნენ სამსახურიდან, მათ არც ხელფასი აქვთ, არც პენსია. მათ შორის ისინი, რომლებიც მარტოხელები არიან, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ყველაზე მეტად ისინი გვეცოდებიან, რადგან ხშირად გაცილებით უარეს დღეში ვარდებიან, ვიდრე პენსიონერები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ საპენსიო ასაკის ადამიანებს ვეხმარებით, ვაკეთებთ ხოლმე გამონაკლისს შედარებით „ახალგაზრდა ხანდაზმულებისთვის“.

– მამაკაცებისთვის თუ მოხერხდა თავშესაფრის გახსნა?

– მამაკაცებისთვის ვერ მოხერხდა თავშესაფრის გახსნა. ველოდებით იმ ბედნიერ წუთს, როცა შესაძლებლობა მოგვეცემა, ჩვენი შენობის მანსარდში გავხსნათ თავშესაფარი, რომელიც როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალბატონებისთვის იქნება. ეს სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც „კათარზისს“ დღეისათვის არ გააჩნია. ამიტომ ვცდილობთ, დავასრულოთ ჩვენს შენობაში არსებული ის სამსახურები, რომლებიც ჩანაფიქრის სახით არსებობდა ან დაწყებული იყო მათი გაკეთება.

ბოლო ხანებში „კათარზისს“ შემოემატა სოციალური ქსელი ანუ გვაქვს ოთახი, სადაც რამდენიმე კომპიუტერი დგას. ხანდაზმულებს შეუძლიათ გააგზავნონ წერილები გარკვეულ სამსახურებში, მაგალითად, მერიის ქონების მართვის სამსახურში, რომელიც არ იღებს წერილებს ჩვეულებრივი ფორმით, მას ელექტრონული ვერსია უნდა შესთავაზო. ვინაიდან ხანდაზმულთა პრობლემების უმეტესობა სწორედ ქონებრივ დავებთანაა დაკავშირებული, მათთვის ეს მნიშვნელოვანია, ისე, როგორც მნიშვნელოვანია მარტოობის პრობლემის გადაწყვეტა. შეუძლიათ, ინტერნეტის დახმარებით გაიცნონ სხვა ადამიანები, დაუმეგობრდნენ და ასე შემდეგ.

პრაქტიკულად, მოვაწყვეთ (თუმცა ჯერ ფუნქციონირება არ დაუწყია) სპორტული დარბაზი ხანდაზმულთათვის. ერთი გახლავთ სარეაბილიტაციო მათთვის, რომლებმაც გადაიტანეს ინფარქტი, ინსულტი. ქალაქში ასეთი სამსახურები ძალიან ცოტაა და ძალიან ძვირადღირებულია. შესაბამისად, ჩვენი სოციალური კატეგორიის ადამიანებისათვის მიუწვდომელია. მეორე ოთახში პრევენციისთვის შეუძლიათ ივარჯიშონ და შორს გადასწიონ ისეთი საფრთხეები, რომლის შესახებაც უკვე ვთქვით. დარბაზი უკვე გარემონტებულია, შეტანილია გარკვეული მოწყობილობები. რაც შეეხება ტრენაჟორებს, სარბენ ბილიკს და ასე შემდეგ, დაახლოებით 40 დღეში გვექნება, რომელიც გამოწერილი გვაქვს შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურიდან.

გაკეთებული გვაქვს კიდევ სარელაქსაციო ოთახი – ოთახი ამადინებით. შესანიშნავი პატარა ჩიტები არიან, რომლებიც სასიამოვნოდ გალობენ და იქ შესულ ადამიანს შთაბეჭდილება ექმნება, რომ სამოთხეშია, ყოველ შემთხვევაში ექმნება შთაბეჭდილება, რომ სამოთხის ჩიტებს უსმენს. ჩვენ ვცდილობთ ასეთი სამსახურები შევთავაზოთ ხანდაზმულებს, ვიდრე მანსარდის პრობლემას მოვაგვარებთ.

– ერთდღიანი თავშესაფრის ფუნქციას კიდევ ასრულებს „კათარზისი“?

– ეს კიდევ ფუნქციონირებს. ერთი დღის განმავლობაში კიდევ ვიყვანთ ადამიანებს, ბომჟებს, რომლებსაც არ აქვთ გარემოებათა გამო საცხოვრებელი. ეს არის ჩვენი და საპატრულო პოლიციის ერთობლივი მუშაობა, რადგან სწორედ მათ მოჰყავთ ადამიანები ჩვენთან, ისინი ღამეს ათევენ და მეორე დღეს მიდიან, თუ სხვა ტიპის საჭიროება და მეტი ჩარევა არ სჭირდებათ „კათარზისისგან“.

– რეგიონებში რა ვითარებაა, ბატონო ზაურ, რამდენად ახერხებთ იქ „საგაზაფხულო მენიუს“ შეთავაზებას?

– ზესტაფონის „კათარზისში“ ძალიან კარგი მდგომარეობა გვაქვს იმ თვალსაზრისით, რომ არაფრით ჩამოუვარდება თბილისის მენიუს. ნამდვილად ღირსეული და კარგი კვებაა. ერთ-ერთ კომპანიას საკუთარ თავზე აქვს აღებული ზესტაფონის „კათარზისის“ დახმარება და საკმაოდ კარგ საკვებს სთავაზობს ბენეფიციარებს, მაგრამ თერჯოლაში, ახალციხეში, ადიგენში, არ გამოინახა ერთი სპონსორი, რომელიც თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო კომპანიების რაოდენობა საკმაოდ მწირია ამ ქალაქებში და ამოდიან იმ შესაძლებლობებიდან, რაც აქვთ. კმაყოფილდებიან იმით, რის შესაძლებლობასაც არსებული სიტუაცია იძლევა.

ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზეთის პრობლემა მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიასთან

ვახტანგ ყოლბაია:

– აფხაზეთის მთავრობა იმყოფება არაორდინალურ ვითარებაში, ამიტომ აფხაზეთის მთავრობას ბევრი რამის გადახედვა მართებს, რომ ფეხი აუწყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, კონკრეტულად კი, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ახლებურ მიდგომებს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ცენტრალური ხელისუფლების რიტორიკა შეიცვალა, მშვიდობიანი მოგვარების თემა არის ახლა მთავარი. ეს პოლიტიკა უფრო პრაგმატული ხდება და გათვლილი შედეგებზე. მოქნილი და კომპლექსური უნდა იყოს პოლიტიკა, პრიორიტეტი კი აფხაზებთან უშუალო კონტაქტების გამონახვა და მათთან უწყვეტი დიალოგის დაწყება. ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ეს პროცესი სწრაფად დასრულდება, მაგრამ მთავარია, რომ შედეგი იყოს ეფექტური როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარისთვის. ჩვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტები კონფლიქტის მოგვარების უნდა განიხილოს მეორე მხარემ, გააანალიზოს. აუცილებელია, რომ ახალი მთავრობის პირობებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა, როგორც დევნილობაში მყოფი დროებითი ინსტიტუტები, უნდა გახდნენ დევნილი მოსახლეობის, საკუთარი ამომრჩევლის პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტები კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ჩვენი მხრიდან მშვიდობიანი გზავნილები სწორად უნდა იყოს აღქმული და მიტანილი აფხაზურ მხარემდე. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადებებისთვის ჯერ სოხუმში მზად არ არიან. შესაძლოა სოხუმისთვის უფრო კომფორტული იყო სააკაშვილის ხელისუფლება, მთელი მისი რიტორიკითა და სხვა გამოვლინებებით. სავარაუდოდ, ისინი ამჟამად დაბნეულები არიან.

– ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სოხუმიდან არის რაიმე სიგნალები?

– ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ ის პირები, ვისთანაც ისინი თანამშრომლობდნენ, დღეს ხელისუფლებაში არიან, მე ვფიქრობ, გარკვეული სიგნალები, რომელიც თბილისიდან იქ მიდის, განიხილება მათ მიერ. უზარმაზარი და მრავალწახნაგოვანი შრომაა საჭირო, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გაჩნდა ახალი ინსტიტუტი ურთიერთობების დარეგულირების საკითხში დიალოგისთვის, მას ბატონი ზურაბ აბაშიძე უდგას სათავეში. ოკუპაციის შესახებ კანონშიც არის პოზიტიური ცვლილებები და ესეც აფხაზებისთვის ყურადსაღებია. რაც მეტად ხისტები ვიქნებით კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მით მეტი საშიშროება იქნება იმისა, რომ დავრჩეთ იმ პოზიციაში, რომელშიც ახლაც ვიმყოფებით. ქვეყანა იმ ცვლილებით არ დაიცვევა, რომელიც ოკუპაციის შესახებ კანონში შედის. საზოგადოების განწყობასაც სჭირდება მომზადება. აფხაზეთის მთავრობა უნდა იყოს ნაწილი ამ კონფლიქტის მოგვარებაში. მან ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტის მოგვარებას და არ ჰქონდეს დამამძიმებელი და უარყოფითი იმპულსების შემომტანი ფუნქცია. ამიტომ მთავრობისადმი ნდობა უნდა იყოს არა აფხაზეთში, რაც გასაგები მიზეზების გამო პრობლემურია, არამედ თავად დევნილ მოსახლეობაში.

– პრემიერ-მინისტრმა კოსოვოს და სერბეთის ანალოგიებზე ისაუბრა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხთან მიმართებაში და საზოგადოებამ მისი გზავნილები არასწორად გაიგო. მინდა გკითხოთ, რა მხრივ შეიძლება გამოვიყენოთ ეს მაგალითი?

– ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის სხვა საკითხია და სხვაგვარად არის გადაწყვეტილი. მსოფლიო თანამეგობრობამ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, ჩვენ გვაქვს პოტენციალი საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად და რუსეთთან დიალოგის გზით მოვაგვაროთ ეს პრობლემა. ერთი ხელის მოსმით ეს საკითხი არ გადაწყდება. რუსეთის ფაქტორი არ არის უგულებელსაყოფი. ჩვენ უნდა შევთავაზოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას ისეთი რამ, რაც ყველა მხარისთვის მისაღები იქნება. ყველა მხარეს მოტივაცია უნდა ჰქონდეს ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

– მოტივაციაში რა იგულისხმება, ის, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ვაპირებთ კონფლიქტის მოგვარებას თუ, მაგალითად, ახალ სტატუსს ვაძლევთ აფხაზებს, რესპუბლიკელებს ჰქონდათ კონფედერაციის მოდელი?

– მე კონკრეტულ წინადადებებზე ვერ ვილაპარაკებ ამ ეტაპზე იმიტომ, რომ ამისთვის სოხუმი ჯერ მზად არ არის. პირიქით, ისინი ამბობენ, რომ მათ სტატუსი გარკვეული აქვთ და პრობლემა გადაწყვეტილი. როცა თავს ახვევ შენს პოლიტიკურ ზრახვებს ოპონენტს, ის ძალაუნებურად უკან იხევს და თავს იცავს. ჩვენ გვსურს მათთან თანამშრომლობა ეკონომიკურ საკითხებში, გალის რაიონში ქართველების დაბრუნების საკითხში, კრიმინალური ვითარება უკიდურესად მძიმეა. დიპლომატიური მოგვარება ხმაურის და ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე ხდება. ახლა სააკაშვილი იყო ერთ-ერთ ქვეყანაში ჩასული და ტრაბახობდა, რომ რუსეთს დიპლომატიურად მოუგო, ეს ასე ხმაურით არ ხდება.

– ჟენევის ფორმატის გამოყენებაც ალბათ გაგრძელდება?

– რა თქმა უნდა, ამ ფორმატში არ არის დაფიქსირებული ოფიციალური მხარეები, თავიანთი რეალური სტატუსით, ყველა შემთხვევაში ჟენევის პროცესი გასაგრძელებელია.

– რას იტყვით აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებებზე?

– აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს, თუმცა ეს იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აირჩევა ახალი პრეზიდენტი ქვეყანაში, ამის შემდეგ პრეზიდენტს ექნება სრული ლეგიტიმაცია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციით დაამტკიცოს და ხელი მოაწეროს აფხაზეთის მთავრობის ახალი თავმჯდომარის დანიშვნას. იქამდე კი მე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გახლავართ. მინდა გითხრათ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში უზარმაზარი როლი და ფუნქცია ენიჭება მედია საშუალებებს, იმედია ჩვენი პრობლემების განხილვა აქტუალური და საინტერესო იქნება მედია საშუალებებისთვის. ასევე სურვილი გვაქვს, რომ აფხაზეთის მთავრობის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობისთვის მოვიზიდოთ არასამთავრობო სექტორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრობლემების პოლიტიკური განხილვა, დევნილთა ინტერესების მაქსიმალურად გაანალიზება და მონიტორინგი.

მუსლიმანი მესხები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა ჩასახლდნენ

მერი ნამორაძე

ახალციხეში მუსლიმანი მესხების კომპაქტურად ჩასახლება ჯერჯერობით დღის წესრიგში აღარ დგას. არასამთავრობო სექტორის ერთმა ნაწილმა ხელისუფლება წინასწარ გააფრთხილა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ ხალხის კომპაქტური ჩამოსახლება მაშინ, როცა უამრავი დევნილი დასაბინავებელი ჰყავდა ქვეყანას. კომპაქტურ ჩასახლებას ეწინააღმდეგება ახალციხის ადგილობრივი მოსახლეობაც, რომელიც საკუთარი აზრის გათვალისწინებას ითხოვს.

მუსლიმანი მესხების კომპაქტურად ჩასახლებასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ საერთაშორისო ორგანიზაცია „ვათანის“ დელეგაციასთან გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე გააკეთა. ამ შეხვედრაზე მუსლიმანი მესხების საკითხიც განიხილებოდა. მუსლიმანი მესხების უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ვათანი“ სხვადასხვა ქვეყანაში 2003 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მთავარი მიზანი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული მესხების ადაპტირებაში დახმარება და უფლებების დაცვაა.

მხარეებმა მუსლიმანი მესხებისთვის რეპატრიანტის სტატუსისა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

„ვათანის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, თუ როგორ მიმდინარეობდა რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი. ბოლო მონაცემებით, სულ სამინისტროში შემოსულია 8900 განაცხადი, მათ შორის 5841 – ზრდასრული ადამიანის. აქედან 1053 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მათ შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით, ასევე დამუშავების პროცესშია კანონპროექტი, რომელიც მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს.

მუსლიმანი მესხების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების საკითხთან დაკავშირებით დევნილთა და განსახლების მინისტრმა მკაფიო განცხადება გააკეთა. დარახველიძემ მათ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თავისუფალი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ყიდვა შესთავაზა. „ვისაუბრეთ საქართველოში მათი განსახლების საკითხებზე. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც არის თავისუფალი სახლები, თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით, შეუძლიათ იყიდონ და მოახდინონ ინტეგრაცია. ეს მათი გადასაწყვეტია. რაც შეეხება ახალციხის რაიონში მათ კომპაქტურად ჩასახლებას, ეს საკითხი ამ ეტაპისთვის, ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რთულია, – აღნიშნა დავით დარახველიძემ.

სარფში იარაღის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, დღეს, არადეკლარირებული იარაღი აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურის სგპ „სარფის“ კონტროლის ზონაში, თურქეთიდან მსუბუქი ავტომობილით, თურქეთის მოქალაქე შემოვიდა.

საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ავტომანქანის დათვალიერებისას, მძღოლის სავარძლის ქვეშ ცეცხლსასროლი იარაღი მარკით – „შ ღშ ძ თ1102,“ 1 მჭიდი და 15 ცალი საბრძოლო ვაზნა იქნა აღმოჩენილი.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებას გაეგზავნა.

ნიუსპრესი

მარინე მიზანდარი: „დისკუსიები დაწყებულია“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში რიგით მესამე ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი გაიხსნა გამომცემლების, მთარგმნელებისა და მწერლებისათვის. როგორც სამინისტროში ითქვა, ფორუმ-დიალოგის მიზანია, ხელი შეუწყოს როგორც უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში, ასევე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

– ეს გახლავთ წიგნის ფორუმ-დიალოგი, რომელიც გულისხმობს გამომცემელთა, მწერალთა, მთარგმნელთა და ლიტერატურულ აგენტთა დიდ თანამშრომლობას. 10-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს ამ ღონისძიებაში, ბევრი სტუმარი გვყავს და ეს არის მოხსენებებისა და დისკუსიების ციკლი. მომავალში კიდევ უფრო ბევრი მკითხველი ეყოლება ქართულ ლიტერატურას. ეს არის დასაბამი ანუ პირველი ნაბიჯი, რომელიც გაგრძელებას ჰპოვებს თბილისის მეთხუთმეტე წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 23 მაისს გაიხსნება. წელს ამ ღონისძიებაში 66 გამომცემლობა მიიღებს მონაწილეობას და თავის გამოცემებს წარმოადგენს, – აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა.

ორდღიანი ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია პრეზენტაციები და დისკუსიები საგამომცემლო და ლიტერატურულ სფეროში. ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლები და ლიტერატურული აგენტები დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან, შვეიცარიიდან.

– ეს ღონისძიება ნამდვილად მნიშვნელოვანი ფორუმია როგორც ქართული ლიტერატურისთვის, ასევე საერთაშორისო ჭრილში. მსოფლიოში ყველამ უნდა გაიგოს და გაიცნოს ქართული ლიტერატურა. ეს ფორუმიც გაცნობითი ხასიათისაა და მომავალში საკმაოდ წარმატებული ერთობლივი პროექტები განხორციელდება.

ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 22 მაისის ჩათვლით გაიმართება, დასრულების შემდეგ კი 23 მაისს, დაგეგმილია უცხოელი გამომცემლების ვიზიტი თბილისის წიგნის მე-15 საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე.

ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტის, ბრიტანეთის საბჭოსა და ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით იმართება.

23 მაისს თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი წელსაც ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონში გაიხსნება. ბაზრობა 23-26 მაისს ჩატარდება და მასში 66 გამომცემლობა, წიგნის გამავრცელებელი კომპანია, მაღაზია და საერთაშორისო ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას. წიგნის ფესტივალის მონაწილეთა რეგისტრაცია 19 აპრილამდე გაგრძელდა. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდება.

თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ერთობლივი სტენდი „სამი ქვეყანა – ერთი ენა“

– წელს გერმანია, ავსტრია და შვეიცარია ერთად, ერთობლივი სტენდით წარდგებიან თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალზე. საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი და ავსტრიის ბიბლიოთეკა თანამედროვე გერმანულენოვან საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას წარუდგენენ დამთვალიერებლებს, შვეიცარიის საელჩო კი ქვეყნის ოთხი ენობრივი არეალიდან 12 საინტერესო ახალ გამოცემას გააცნობს მათ.

ჩვენს სტენდთან მოსულ ადამიანებს შეეძლებათ მონაწილეობა ვიქტორინაში, რისთვისაც საჭირო იქნება გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის შესახებ გარკვეული ცოდნის გამოვლენა.

ოდნავ თუ გაგიმართლებთ კიდეც, შეძლებთ ერთი ტრიმესტრის განმავლობაში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის გერმანული ენის კურსზე უფასოდ სწავლას, ან მოიგებთ ჩვენი პრიზებიდან ერთ-ერთს. გვეწვიეთ წიგნის ფესტივალზე! აქ მიიღებთ ინფორმაციას საქართველოში ჩვენი საქმიანობის შესახებაც, – აღნიშნულია გოეთეს ინსტიტუტის ოფიციალურ განცხადებაში.

23 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით წიგნის საერთაშორისო ფესტივალში ჩაერთვება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიც.

– ფესტივალზე შეგიძლიათ შეიძინოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვადასხვა გამოცემები და ღია ბარათები. ხოლო, 24-25 მაისს პროფესიონალი კალიგრაფები ფესტივალის სტუმრებს შესთავაზებენ კალიგრაფიულ ნიმუშებს სხვადასხვა მასალაზე, მათ შორის, ქაღალდსა და კერამიკაზე.

პროექტის მიზანია ქართული კალიგრაფიის, როგორც ქართული ეთნოკულტურის უნიკალური მონაპოვრის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, როგორც ქართული დამწერლობის უნიკალური ნიმუშების უდიდესი საცავის პოპულარიზაცია.

ფესტივალის სტუმრებს, სურვილის შემთხვევაში, კალიგრაფები შესთავაზებენ კალიგრაფიული ხელით გადაწერილ სახელთა ინიციალებს (საზედაო ასოები), სახელს სრულად, სასურველ პოეტურ სტროფებს. ასევე, ექნებათ საშუალება მოსინჯონ თავისი შესაძლებლობები მელნითა და კალმით წერაში, დაწერონ სასურველი სტრიქონები ნუსხურით ან ასომთავრულით, – აცხადებენ ხელნაწერთა ცენტრში.

თბილისში წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 23-26 მაისს გაიმართება და მას „წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა საზოგადოება“ წარმოადგენს. ფესტივალის ფარგლებში მომხმარებელს წიგნების ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობა ექნებათ. ფესტივალის ოფიციალური გახსნის ცერემონია მწერალთა სახლში გაიმართება. სამდღიანი წიგნის ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

აქვე ცნობილი გახდა, რომ გასული წლის მსგავსად, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე აღარ მოხდება მაკულატურის ჩაბარება, როდესაც მაკულატურის ჩაბარების მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოუსადეგარი ქაღალდი ე.წ. ნერგებში – ქუღებში გადაეცვალათ და სასურველი წიგნები შეეძინათ.

წიგნის ფესტივალის ჩატარებამდე კი წიგნის გამომცემელთა ასოციაციამ კონკურსი გამოაცხადა. მათ მკითხველს მოუწოდეს, დაეწერათ ერთგვერდიანი ტექსტი მათთვის საყვარელი ქართული რომანის შესახებ. რომანი გამოცემული უნდა იყოს 1991 წლიდან დღემდე. კონკურსის ორგანიზატორთა განცხადებით, საუკეთესო ხუთი ნამუშევარი გამოქვეყნდება მათ ფეისბუკ-გვერდზე, საუკეთესო ტექსტების ავტორები წიგნის ფესტივალის გახსნაზე დაჯილდოვდებიან 100 ლარიანი ვაუჩერით, რომლითაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წიგნების შეძენას შეძლებენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს, საკუთარი მუშაობა გაასაჯაროვოს. სამინისტრო კულტურის პოლიტიკის თემაზე დისკუსიებსაც ატარებს. ამჯერად მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ და მინისტრის მრჩეველმა თეონა დოლენჯაშვილმა, „გეოეარის“ პროექტის „სივრცეები“ ფარგლებში გამართეს საჯარო შეხვედრა-დისკუსია კულტურის პოლიტიკის თემაზე, კონკრეტულად, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მომხდარ ცვლილებებსა და პროგრამებზე.

შეხვედრა-დისკუსიაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: კულტურის სამინისტროს ფუნქციის გააზრება, სარეკომენდაციო საბჭოების ინსტიტუტი, კულტურის სამინისტროს პრიორიტეტები და სტრატეგია, კულტურის სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების მოკლე განხილვა, საერთაშორისო პროგრამების ამოცანები, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის კრიტერიუმები.

შეხვედრას მოდერირებას უწევდა ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი სოფიო კილასონია. პროექტი „სივრცეები“ ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

პ.ს. დღის ბოლოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გაავრცელა ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით პერიოდში განხორციელებულ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით. როგორც ოფიციალურად გამოთხოვილ ინფორმაციაშია აღნიშნული, 2013 წლის 1 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით პერიოდში კულტურის სამინისტრომ 486 582 ლარი, 5 987,72 აშშ დოლარი, 41 029 ევრო 47 500 რუსული რუბლი და 9 750 შვეიცარიული ფრანკი დახარჯა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ცნობით, კულტურის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ცნობილი ხდება, რომ 99 550 ლარი გადაერიცხა ააიპ საქართველოს უსინათლოთა კავშირის საქმიანობისთვის; 61 714 ლარი მოხმარდა ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მონაწილეობას; 50 750 ლარით სამინისტრომ დაფარა პატრიარქის ეპისტოლეების ინგლისურ ენაზე გამოცემის ხარჯები. სამინისტრომ ასევე დააფინანსა სხვა ღონისძიებებიც, რომელთა დაფინანსებაც ცალკეულ შემთხვევაში 20 000 ლარს არ აღემატება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

პოლიციამ პირველობისკენ გაიწია, არმია მესამეს დასჯერდა

ოლიმპი – შსს აკადემია 71:79

ფინალური სერია „შსს-აკადემიას“ გამარჯვებით დაიწყო. გიორგის კეცელიდისის განწვრთნილმა აკადემიელებმა რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ოლიმპი“ 79:71 დაამარცხეს და ფინალურ სერიაში, რომელიც 3 მოგებამდე გრძელდება, 1:0 დაწინაურდნენ.

მცირე გამონაკლისის გარდა, „შსს-აკადემია“ მატჩის მსვლელობას აკონტროლებდა, რაც დაცვაში საიმედო თამაშში გამოიხატებოდა. ეს გამონაკლისი მესამე მეოთხედის ბოლო და მეოთხე პერიოდის საწყის წუთებზე მოდის, როცა ოლიმპელებმა დაცვა გაამაგრეს და სამქულიანებით ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირეს (61:62).

მესამე ათწუთეული „შსს-აკადემიის“ 13-ქულიანი ლიდერობით სრულდებოდა, თუმცა სირენის თანხლებით მოედნის ცენტრიდან ჩაგდებული სამქულიანით მიხეილ ბერიშვილმა „ოლიმპის“ ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა – 49:59. გია კაზანჯიანის განწვრთნილმა ოლიმპელებმა ზუსტი სროლები განაგრძეს – დარენ მურის, სტენ სოკის და მიხეილ ბერიშვილის სამქულიანების შემდეგ აკადემიელთა ლიდერობიდან 1 ქულა დარჩა.

მატჩის დასრულებამდე 6 წუთი იყო დარჩენილი, ოლიმპელებს წინ საკმაო დრო ჰქონდათ, თუმცა დაცვაში საიმედო და შეტევაში გააზრებული თამაშის წყალობით შსს-ელებმა საიმედო ლიდერობა დაიბრუნეს: ვასილის კუნასის, აკაკი ლომოურის, დენოტა ვონის და კირკ არჩიბეკის ქულებით კეცელიდისის გუნდი 74:66 დაწინაურდა და დარჩენილ დროში საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო დეონტა ვონი, კირკ არჩიბეკმა კი, ტრადიციულად, ორმაგ დუბლს მოუყარა თავი – 14 ქულა, 12 მოხსნა. 16 ქულით აკადემიელებს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა ბენჯამინ რეიმონდი, ხოლო კიდევ ერთი ლეგიონერმა ჩად პრევიტმა შეხვედრა 8 ქულით, 12 მოხსნით და 6 პასით დაასრულა. „ოლიმპის“ შემადგენლობაში 21 ქულითა და 11 მოხსნით მიხეილ ბერიშვილი გამოირჩა, 13-13 ქულა-მოხსნა დააგროვა სტეფან მილოშევიჩმა, რომელსაც პარალელურად 7 დაფარებაც ჰქონდა, ესტონელმა სტენ სოკმა კი მატჩი 15 ქულით დაასრულა.

მატჩის შემდეგ

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

– როგორც მატჩისწინა პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, დიდი წარმატება იყო ჩვენთვის ფინალში გასვლა, ალბათ, სეზონის დასაწყისში ზოგი არც ელოდა ჩვენგან ამ შედეგს. ჩვენ მოვედით, რათა აღგვენიშნა ფინალში გასვლა და ამ სიხარულს დაემატა საქართველოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ გამარჯვება. ჩემს მოთამაშეებს ყოველთვის ვეუბნები, რომ „ოლიმპთან“ თამაშისას, რომელსაც ძალიან კარგი შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს, არასდროს შეიძლება მოდუნება. დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში კონცენტრაცია დავკარგეთ და მაშინვე მეტოქემ 3 სამქულიანით დაგვსაჯა. ორივე გუნდისთვის ძალიან რთული იქნება ხვალინდელი თამაში, რადგან წარმოუდგენელია ზედიზედ ორი თამაშის ასეთ დონეზე ჩატარება. დავისვენებთ და განვეწყობით მეორე მატჩისთვის და შევეცდებით კიდევ ერთი გამარჯვება მოვიპოვოთ.

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

– ვულოცავ „შსს აკადემიას“ გამარჯვებას. ყველა კომპონენტში გვაჯობეს – მოხსნებში, პასებში, ჯარიმებში. ლოგიკური შედეგით დასრულდა შეხვედრა. თუმცა, სერია მხოლოდ ახლა დაიწყო, ყველაფერი წინაა და ვეცდებით, ხვალ უკეთესად ვითამაშოთ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში.

ბენჯამინ რეიმონდი (შსს აკადემია):

– განსხვავებით თასის გათამაშებისა, რომელიც მოვიგეთ და ეს ძალიან დიდი ბიძგი და სიხარული იყო გუნდისთვის, „სუპერლიგის“ ყოველ თამაშს ისე ვუყურებთ, როგორც ფინალს და მაქსიმუმს ვაკეთებთ. მოვემზადებით ხვალისთვის, რათა იგივე შედეგი ვაჩვენოთ.

მიხეილ ბერიშვილი (ოლიმპი):

– ვულოცავ მეტოქეს დღევანდელ წარმატებას. მართლაც ყველა ასპექტში გვაჯობეს. იმედია, გამოვასწორებთ შეცდომებს და აგრესიულად შეხვდებით მეორე თამაშს. გპირდებით, ხვალინდელი შეხვედრა კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება.

არმია – ქუთაისი 68:57

მესამე ადგილის მფლობელი თავდაცვის სამინისტროს გუნდი გახდა. ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩში კოტე ტუღუშის განწვრთნილმა „არმიამ“ საინტერესო ბრძოლაში დაამარცხა „ქუთაისი“ და გასულ სეზონებში ზედიზედ 2 ჩემპიონობის შემდეგ ამჯერად მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

არმიელებმა შეხვედრა მეტი მობილიზებითა და მონდომებით ჩაატარეს. ტუღუშის გუნდს ლაშა ფარღალავა წინამძღოლობდა, რომელიც საბოლოოდ 27 ქულით მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. პირველი მეოთხედი არმიელებმა 23:9 მოიგეს, რის შემდეგაც ლიდერობა მთელი თამაშის მანძილზე ხელიდან აღარ გაუშვია.

ქუთაისელები ცდილობდნენ მატჩის მსვლელობაში კორექტივების შეტანას და დარჩენილი სამივე მეოთხედი მოიგეს, მაგრამ „არმია“ დაცვაში დამაჯერებლად ირჯებოდა. ფარქვეშ რომ ხეირი ვერ ნახა, დავით უსტიაშვილის განწვრთნილი იმერული კლუბი შორ სროლებზე გადავიდა, მაგრამ მოთამაშეებს მიზანი ღალატობდათ, რაც არმიელებს გამარჯვებასთან უფრო და უფრო აახლოვებდა.

საბოლოოდ შეხვედრა ისე დამთავრდა, რომ თამაში არ დაძაბულა. ტუღუშის გუნდი დამაჯერებლად მივიდა გამარჯვებამდე და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონა. როგორც აღვნიშნეთ, 27 ქულით საუკეთესო ფარღალავა იყო, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ბესიკ ლეჟავამ ორმაგი დუბლი (11 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა. ქუთაისელთა შორის 15-15 ქულით ბუბა კვიმსაძე, გიორგი ბარბაქაძე და რიჩარდ მათიაშვილი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელის პირად ანგარიშზე 19 მოხსნაც დაგროვდა.

მესამე ადგილის მფლობელი არმიელები მედლებითა და შესაბამისი სიგელებით კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ქორქიამ და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დააჯილდოვეს.

კოტე ტუღუში (არმია):

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას. პირველ რიგში, ვულოცავ ჩემს გუნდს. მადლობა მოთამაშეებს თავდადებისთვის, მთელი სეზონის განმავლობაში ბოლომდე იბრძოდნენ, განსაკუთრებით, პლეი ოფებში. ჩვენთვის საკმაოდ რთული სეზონი იყო. ბევრი პრობლემა გვქონდა, მიუხედავად ამისა, ყველაფრის გათვალისწინებით, წარმატებით დავამთავრეთ სეზონი. მადლობა „ქუთაისს“ და ყველა დანარჩენ გუნდს. ვფიქრობ, წელს სუპერლიგა შედგა და საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი ჩემპიონატი გამოვიდა. მადლობა სუპერლიგის ხელმძღვანელობას, ასევე მსაჯებს. განსაკუთრებული ჩემპიონატი იყო როგორც მოთამაშეებისთვის, ისე მწვრთნელებისთვის, ჟურნალისტებისა და მაყურებლებისთვის.

დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):

– ჩვენთვისაც ძალიან რთული სეზონი იყო, ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს. არ ვამბობ, რომ მე-4 ადგილზე უკეთესი შედეგის ჩვენება არ შეგვეძლო. თუმცა, პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაშიც კი ამ სეზონს წარუმატებლად ვთვლი, რადგან დავკარგეთ უდიდესი ადამიანი, ჩვენი გელა დარსაძე. მადლობა ბიჭებს მთელი წლის შრომისთვის, მართლაც ბევრი პრობლემა გვქონდა, მათ შორის სავარჯიშო მოედნის პრობლემა. ძალიან დიდი სირთულე იყო პარკეტი, რომელიც გამუდმებით იწვევდა ტრავმებს. ურთულესი ნახევარფინალი გამოვიარეთ „რუსთავის“ წინააღმდეგ, ასევე „შსს აკადემიასთან“ გვქონდა ძმიმე შეხვედრები. ბოლო თამაში ქუთაისში დასანანად წავაგეთ, ერთ სროლას შეეძლო სერიაში ანგარიში 2:2 გაეხადა. დღევანდელი შეხვედრა „არმიამ“ დამსახურებულად მოიგო და ვულოცავ მათ. პირველი პერიოდი ძალიან ცუდად ჩავატარეთ, მართალია, დანარჩენი პერიოდები მოვიგეთ, თუმცა ფსიქოლოგიურმა დაღლილობამ თავისი გაიტანა. მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, რომელიც ყოველთვის ჩვენ გვერდით იყო, მოგების და წაგების დროსაც. აუცილებელია, ქუთაისს საკალათბურთო გუნდი ჰყავდეს, რადგან ქუთაისში ეს სპორტი ძალიან უყვართ.

ზვიად გაგნიაშვილი (არმია):

– მინდა მივულოცო ჩემს გუნდს მესამე საპრიზო ადგილი. შედეგით კმაყოფილი ვართ. შეგვეძლო უფრო მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა, თუმცა ბევრი პრობლემის გამო ვერ მოვახერხეთ. ტრავმიანობის, ლეგიონერების წასვლისა და სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, ნორმალური შედეგით დავასრულეთ სეზონი. დიდი მადლობა ჩვენს მოწინააღმდეგეს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან დალაგებულ და სწორ კალათბურთს თამაშობდა.

გუგა კვიმსაძე (ქუთაისი):

– პირველ რიგში, ვულოცავ „არმიას“ ღირსეულ მესამე ადგილს. მეტი შეგვეძლო ამ სეზონში, თუმცა ბევრი რამ გამოვიარეთ, განსაკუთრებით ბოლო სამ თვეში და ღირსეულად ვიბრძოლეთ. ბევრი კარგი თამაში ვაჩვენეთ და დამსახურებულად მოვხვდით საუკეთესო ოთხ გუნდს შორის. მადლობა ჩვენს გულშემატკივარს გვერდში დგომისთვის. მათი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ზაზა ფაჩულია: „უფრო ძლიერი დავბრუნდები“

სპორტის სამინისტროს საქართველოს ნაკრების კაპიტანი, „ატლანტა ჰოუკსის“ ცენტრი“ ზაზა ფაჩულია სტუმრობდა. იგი მინისტრ ლევან ყიფიანს შეხვდა, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ზაზასთან შეხვედრისას არაერთ საკითხს შეეხნენ:

ლევან ყიფიანი:

– ფაჩულიას დონის კალათბურთელი ბევრი არ გვყავს და მისი გამოცდილება ნამდვილად სასარგებლოა. ზაზა დავპატიჟეთ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ზეიმზე. გაიმართება ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის, კალათბურთში და ზაზა ფაჩულიას მისვლა დიდი სტიმული იქნება.

როგორც იცით, ნაკრების კაპიტანი ამჟამად ტრამვირებულია და რეაბილიტაციის კურსს გადის. ფაჩულიას თქმით, გამოჯანმრთელების პროცესი ნავარაუდევზე უფრო სწრაფად მიმდინარეობს, თუმცა, სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე თამაში მაინც გამორიცხულია.

ზაზა ფაჩულია:

– პროგრესი აშკარაა, მკურნალობა კარგად მიმდინარეობს. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ეგრეთ წოდებული ჩექმა უკვე გავიხადე და ჩვეულებრივად დავდივარ. არ ვიცი, ეს რისი ნიშანია, წინ ვუსწრებ დაგეგმილ რეაბილიტაციის პროცესს თუ არა, მაგრამ ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ჩემი კარიერისთვის საჭირო იქნება. 13 წელია, ნაკრებში ვარ და არაერთი ტრავმა მიმიღია, თუმცა ასეთი ხანგრძლივი დროით არ დამისვენია. სამწუხაროდ, სექტემბერში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მომიწევს, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ახალი ძალით, ახალი ენერგიით ახალ ეტაპს დავიწყებ. ტრავმის შემდეგ ზოგ კალათბურთელს ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნება. მე კი საკუთარი თავის იმედი მაქვს და ამიტომაც ვამბობ – უფრო ძლიერად დავბრუნდები.

– რას იტყვით თქვენს შემცვლელზე? როგორც ვიცით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ნაკრებში ტანმაღალი ლეგიონერის მიწვევას აპირებს.

– როცა მოედანზე ვარ, სიტუაციასაც ვაკონტროლებ. ახლა კი საქართველოს ნაკრებში ვერ ვითამაშებ და ნამდვილად ვერ გეტყვით, ტაქტიკური თვალსაზრისით რა შეიცვლება გუნდში. ალბათ, ჩემს შემცვლელს მეტი სათამაშო დრო ექნება და იმედი მაქვს, თავსაც გამოიჩენს. რაც შეეხება უცხოელს, ლეგიონერის ჩამოყვანა-არჩამოყვანის საქმეში არ ვერევი. ეს მწვრთნელის პრეროგატივაა. თუმცა ქართველებიც კარგი მოთამაშეები არიან...

– თქვენ ამჟამად თავისუფალი აგენტი ხართ. სად გააგრძელებთ კარიერას?

– 8 წელია, ატლანტაში ვცხოვრობ და იქაურობასთან შეგუებული ვარ. ატლანტაში ბევრი კარგი დღე მქონია და მითქვამს კიდეც, რომ ამერიკაში ჩემი სახლი სწორედ ეს ქალაქია. ჯორჯიის შტატში სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ კალათბურთი ბიზნესია და საბოლოოდ ჩემი და ჩემი ოჯახისთვის საუკეთესო ვარიანტს ავარჩევ.

– ნბა-ში კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი თამაშობს. როგორ შეაფასებდით თორნიკე შენგელიას პირველ სეზონს?

– თოკოს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი უახლოესი ადამიანია. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ნამდვილი პროფესიონალია. ამიტომაც მიაღწია ნბა-მდე. ველოდი, რომ „ბრუკლინის“ დარ ძლიერ გუნდში დამკვიდრება იოლი არ იქნებოდა, მით უმეტეს, ევროპიდან ჩასული ახალგაზრდა კალათბურთელისთვის. თუმცა მთავარია, რომ პირველმა სეზონმა ჩაიარა. თორნიკეს შანსი რამდენჯერაც მიეცა, თავი დადებითი კუთხით წარმოაჩინა, როგორც ნბა-ს განვითარების ლიგაში, ასევე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. დარწმუნებული ვარ, შენგელიას ნბა-ში ხანგრძლივი და საინტერესო კარიერა ელის.

– საქართველოში საკალათბურთო სკოლის გახსნას ხომ არ აპირებთ?

– ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მინდა, საქართველოში საკალათბურთო სკოლა გავხსნა.

– როდის აპირებთ აქტიური სპორტიდან წასვლას?

– მინიმუმ 5-6 წელი ვაპირებ აქტიურ სპორტში დარჩენასა და დიდი კალათბურთის თამაშს.

მილანის შემადგენლობა ცნობილია, თბილისში ბალაკსაც ელიან

31 მაისს „დინამო არენაზე“ კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი გაიმართება. თბილისში „მილანის“ სხვადასხვა თაობის ფეხბურთელი და რამდენიმე ქვეყნის საპატიო დელეგაცია ჩამოვა. აღნიშნული მატჩისადმი მიძღვნილი მორიგი პრესკონფერენცია საქართველოს ბანკის სათაო ოფისში გაიმართა. ჟურნალისტებს ღონისძიების ორგანიზატორი დავით მუჯირი ესაუბრა.

დავით მუჯირი:

– სასიხარულოა, რომ ამხელა გამოხმაურება მოჰყვა ამ ღონისძიებას. დიდი მადლობა „საქართველოს ბანკს“ ამ ღონისძიების მხარდაჭერისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო სპონსორებს – „ბილაინს“, „სილქ როუდ ჯგუფს“, „კავკასუს ონლაინს“. რამდენიმე ქვეყნის ოფიციალური პირი მოემგზავრება თამაშის სანახავად. ამ კუთხით პარალელურად ვმუშაობთ. იმედი მაქვს, ისეთ ღონისძიებას ჩავატარებთ, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ქართველ გულშემატკივარს. ბილეთები 22 მაისიდან გაიყიდება, მისი ფასი კი 5, 7 და 10 ლარი იქნება. გულშემატკივარს მისი შეძენა „დინამო არენასა“ და „მიხეილ მესხის“ სტადიონების სალაროებში შეეძლება. ვთანამშრომლობთ ფანკლუბებთან, მათ უკვე გადავეცით ბილეთები. მატჩს დაესწრებიან ბავშვები, რომლებიც ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირში ივნისის დასაწყისში იასპარეზებენ როგორც საქართველოდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან. მატჩზე დასასწრები ბილეთები გადაეცემათ საფეხბურთო კლუბებს, ფედერაციებს, ასევე მოსაწვევები გადაეცემათ ხელმძღვანელებს. „დინამოს“ ხელმძღვანელობა გვეხმარება, გვერდში გვიდგას. დიდი მადლობა რომან ფიფიას მხარდაჭერისთვის. მოედნის საფარი იდეალურ მდგომარეობაშია. მთავარი შოუ ვარსკვლავების დაპირისპირებაა. თამაში 20:30 საათზე დაიწყება. „მილანის“ ძირითადი გუნდი ჩარტერით თამაშის დღეს ჩამოვა და „რედისონში“ დაბინავდებიან. რაც შეეხება „მილანის“ შემადგენლობას, ხელმძღვანელობამ 20-მდე ფეხბურთელის სია გადმოგვცა, სამი თაობის მოთამაშეები არიან ამ სიაში. მაგრამ ეს არ არის საბოლოო. წარმოუდგენელია ყველა ვარსკვლავის თავშეყრა, თუმცა 31 მაისი ის დღეა, როცა ფეხბურთელების მხრივ ყველაზე ნაკლები დანაკლისი გვაქვს. შესაძლოა ჩამოვიდეს კაკა, რომელიც ნაკრებში გამოძახებაზეა დამოკიდებული. ეტოო გამოგვაკლდა, რომელიც რუსეთის თასის თამაშში მიიღებს მონაწილეობას. ასევე გასარკვევია ჯილარდინოს საკითხი. კახას მეგობრების შემადგენლობას რაც შეეხება, ჩამოვა 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფაბიო კანავარო, მიხაელ ბალაკის საკითხი ჯერ ღიაა, რადგან ივნისის დასაწყისში მას აქვს მსგავსი ღონისძიება. ითამაშებენ კალას მეგობრები კიევის „დინამოდან“ რებროვი და გუსინი, ასევე ქართველი ფეხბურთელები. თბილისში ჩამოვა სებასტიან ფრეი. მწვრთნელები იქნებიან ალექსანდრე ჩივაძე და ფათიხ თერიმი. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება ამ დრომდე გრძელდება. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ღონისძიების ჩატარებაში გვეხმარება.

„მილანი“ თბილისს ასეთი შემადგენლობით ეწვევა:

მეკარეები: ვალერიო ფიორი, სებასტიანო როსი;

მცველები: პაოლო მალდინი, ჯუზეპე პანკარო, დარიო სიმიჩი, ჯუზეპე ფავალი, მასიმო ოდდო, ჯანლუკა ძამბროტა, როკე ჟუნიორი, იაპ სტამი;

ნახევარმცველები: ზვონიმირ ბობანი, სერჟინიო, რუი კოშტა, მასიმო ამბროზინი, ფედერიკო ჯუნტი, ანჯელო კარბონე, იბრაჰიმ ბა;

თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი, კრისტიან ვიერი;

მთავარი მწვრთნელები: კარლო ანჩელოტი, ჩეზარე მალდინი

მამუკა კვარაცხელია:

– ძალიან მოხარული ვართ, რომ დიდი აჟიოტაჟია და მოთხოვნა ამ თამაშზე. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ვცდილობთ უეფას თამაშის დონეზე ჩავატაროთ ეს მატჩი. ფეხბურთელებთან შეხვედრა მატჩამდე არ შედგება, წინა დღით ჟურნალისტებისთვის ღია ვარჯიში ჩატარდება. თამაშის შემდეგ შერეულ ზონაში მოხდება ვარსკვლავებთან შეხვედრა.

შედეგები

ფეხბურთი

ესპანეთი. ჰიმეხა დივიზიონი

მალიორკა-ბეტისი 1:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	36	30	4	2	109-39	94
2.რეალი	36	25	6	5	96-37	81
3.ატლეტიკო	36	22	6	8	62-30	72
4.სოსიედადი	36	17	11	8	66-46	62
5.ვალენსია	36	18	8	10	63-50	62
6.მალაგა	36	15	9	12	49-45	54
7.ბეტისი	36	15	7	14	52-55	52
8.რაიო	36	15	4	17	46-63	49
9.სევილია	36	13	8	15	53-49	47
10.ხეტაფე	36	13	8	15	42-53	47
11.ესპანიოლი	36	11	11	14	43-49	44
12.ბილბაო	36	12	8	16	42-62	44
13.ვალიადოლიდი	36	11	10	15	47-52	43
14.ლევანტე	36	11	9	16	38-56	42
15.გრანადა	36	10	9	17	35-53	39
16.ოსასუნა	36	9	9	18	29-45	36
17.დეპორტივო	36	8	11	17	46-66	35
18.სარაგოსა	36	9	7	20	36-55	34
19.მალიორკა	36	8	8	20	39-70	32
20.სელტა	36	8	7	21	34-52	31

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გვადალახარა-მურსია 3:1

ხუსეთი. ჰიმეიჩიგა

ანჟი-ლოკომოტივი 2:1

შვეიცარია. თასი

ფინალი

ბაზელი-გრასჰოპერსი ..... 1:1(3:4პ)

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ვიძევი-ლეხია 1:2

დანია. სუპერიგა

მიდტიულანდი-ორხუსი 3:2

ორხუსელთა პირველი გოლი დავით სხირტლაძემ გაიტანა

ნორდსიელანდი-ესბიერგი 1:0

ოდენსე-სილკებორგი 3:3

ოლბორგი-რანდერსი 2:2

კოპენჰაგენი-სონდერიისკე 1:1

ჰორსენსი-ბრონდბიუ 0:1

შვედეთი. აისვენსკა

ჰელსინბორგი-ელფსბორგი 2:1

ნორვეგია. ტიპეიგა

სტარტი-სტრომგოდსეტი 0:6

ალესუნდი-ოდ გრელანდი 2:0

რუნნებორგი-მიოლდე 0:0

ჰონეფოსი-ლილესტრიომი 1:0

ჰაუგესუნდი-სონგდალი 0:1

ტრომსო-ბრანი 2:0

ახგენტინა. ჰიმეხა დივიზიონი

არხენტინოსი-ბელგრანო 1:3

ტიგრე-ლანუსი 0:0

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფი

დეტროიტი-ჩიკაგო 3:1

სერიის ანგარიში: 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თბილისის ბიგ ბენდი საკონცერტო ტურნეში ჩაება

ეკა ირემაშვილი

თბილისის ბიგ ბენდი თბილისის მასშტაბით საკონცერტო ტურნეში ჩაება. როგორც ბიგ ბენდის დამაარსებელი გაიოზ კანდელაკი აცხადებს, ეს არის უფასო კონცერტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და დასასვენებელ პარკებში იმართება.

თბილისის ბიგ ბენდი მონაწილეობს პროექტში „შაბათი მუსიკის თანხლებით“. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და თბილისის ორკესტრი „ბიგ ბენდი“ 27 აპრილიდან ყოველ შაბათს თბილისის სხვადასხვა დასასვენებელ პარკში კონცერტებს წარმოადგენს. თბილისის მერია მსგავსს პროექტს უკვე 3 წელია ყოველ გაზაფხულზე ახორციელებს ქალაქის დასასვენებელი პარკების კულტურული რეაბილიტაციის მიზნით, ყოველწლიურად იცვლება პარკებში წარმოდგენილი პროგრამა. „ბიგ ბენდის“ კონცერტებში, გარდა საორკესტრო ნაწარმოებებისა, წარმოდგენილი არიან ორკესტრის სოლისტები გიორგი სუხიტაშვილი, ზაურ შავგულიძე, თაკო გაჩეჩილაძე, მარიკო ებრალიძე, ალეკო ბერძენიშვილი, სოფო ბედიაშვილი, მაია ბარათაშვილი, მარიამ პავლიაშვილი, ბორის ბედია.

თბილისი ბიგ ბენდი 16 წლის წინ მარჯანიშვილის თეატრის სხვენში იქმნებოდა. იმ პერიოდში თეატრის ხელმძღვანელი ორკესტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი გაიოზ კანდელაკი იყო. როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მარჯანიშვილის თეატრი გაარემონტა, მან სხვენიც გაარემონტა, რომ ორკესტრს თავისი სარეპეტიციო ბაზა ჰქონოდა. მას შემდეგ თბილისის ბიგ ბენდი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

გაიოზ კანდელაკი:

– საკმაოდ აქტიურად ვატარებთ კონცერტებს. სკვერებისა და პარკების გარდა, ჩვენ კონცერტებს ვატარებთ უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში. ორიოდე დღის წინ კონცერტი გვქონდა 35-ე საფეხბურთო სკოლაში. 19 მაისს პოლიციის დღესაც დავუკარით, სადაც პოლიციელებიც დაჯილდოვეს.

– როგორია თქვენი საკონცერტო ტურნე?

– ჩვენი გრაფიკი საკმაოდ დატვირთულია. ჯაზის საერთაშორისო დღესაც დავუკარით ივენთ ჰოლში, სადაც მოხდა პირდაპირი ჩართვა სტამბოლიდან. „ბიგ ბენდი და მისი მეგობრები“ ერქვა კონცერტს და ამ ღონისძიების ორგანიზატორი იყო ამერიკის საელჩო, კულტურის სამინისტრო და, რა თქმა უნდა, თბილისის მერია. ამდენი კონცერტი ერთ თვეში არც ერთ კოლექტივს არ ჰქონია. ამჯერად კი ყოველ შაბათს ვმონაწილეობთ პროექტში „შაბათი მუსიკის თანხლებით“, რომელზეც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და თბილისის ორკესტრი „ბიგ ბენდი“ 27 აპრილიდან ყოველ შაბათს თბილისის სხვადასხვა დასასვენებელ პარკში წარმოადგენს კონცერტებს.

თბილისის მერია მსგავსს პროექტს უკვე 3 წელია ყოველ გაზაფხულზე ახორციელებს ქალაქის დასასვენებელი პარკების კულტურული რეაბილიტაციის მიზნით, ყოველწლიურად იცვლება პარკებში წარმოდგენილი პროგრამა.

„ბიგ ბენდის“ კონცერტებში გარდა საორკესტრო ნაწარმოებებისა წარმოდგენილი არიან ორკესტრის სოლისტები გიორგი სუხიტაშვილი, ზაურ შავგულიძე, თაკო გაჩეჩილაძე, მარიკო ებრალიძე, ალეკო ბერძენიშვილი, სოფო ბედიაშვილი, მაია ბარათაშვილი, მარიამ პავლიაშვილი, ბორის ბედია. პირველი კონცერტი გვქონდა 27 აპრილს მუშტაიდის პარკში, 9 მაისს ჩავატარეთ კონცერტი გოფილექტის ბაღში, 11 მაისს დავუკარით ალექსანდროვის ბაღში, 18 მაისს – რიყის პარკში, 25 მაისს კონცერტს ჩავატარებთ დედაენის ბაღში, პირველ ივნისს – გლდანის პარკში, 8 ივნისს – ვერის ბაღში, 15 ივნისს – მზიურში, 23 ივნისს – მთაწმინდის პარკში. თბილისის პარკებში ხალხი დასასვენებლად მიდის, არც იციან, რომ ჩვენი კონცერტებია და სასიამოვნოდ გაოცებული რჩებიან ხოლმე. ჩვენთვის კარგია დატვირთული გრაფიკი, სულ ფორმაში ხარ. როგორც წესი, ჩვენ კვირაში სამი დღე რეპეტიციები გვაქვს და კონცერტების გამო სულ უწყვეტი რეპეტიციების რეჟიმში ვცხოვრობთ.

გარდა ამისა, ჩვენ 2 მაისს ქუთაისშიც ჩავედით და ქუთაისქალაქობაზე დავუკარით. ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტს 20.000 ადამიანი ესწრებოდა. რომ ვამბობდი, მოვა დრო და ეს ორკესტრი სახელმწიფოს აქსესუარი გახდება-მეთქი, მართლაც ასე მოხდა.

ჩვენ კონცერტს ჩავატარებთ 26 მაისს თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ჩვენი ღონისძიება თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ ღია ცის ქვეშ გაიმართება. შარშან საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს კიევში შევხვდით და იქ ჩავატარეთ კონცერტი. უმაღლეს სასწავლებლებში კვლავ არის დაგეგმილი უფასო კონცერტები, რომ ახალგაზრდობა გემოვნებიან მუსიკას ეზიაროს.

– საქართველოს ფარგლებს გარეთ გაქვთ კონცერტები დაგეგმილი?

– რა თქმა უნდა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც გვაქვს კონცერტები დაგეგმილი, ბევრი ვარიანტი გვაქვს, მაგრამ მთავარია ფინანსები, თუმცა მჯერა, ფინანსებს ალბათ მოვიპოვებთ. ზაფხულში დავისვენებთ, სექტემბრიდან ისევ დავიწყებთ მუშაობას და ალბათ ოქტომბრიდან უკვე საზღვარგარეთ გავალთ.

კულტურის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს. მასში პასუხებია გაცემული იმ დეზინფორმაციაზე, რომელშიც სამინისტროს პარლამენტის უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე ადანაშაულებს. საქმე ეხება დიდ ბრიტანეთში კულტურის სამინისტროს დელეგაციის 30-კაციან ვიზიტს, რაც, სამინისტროს მტკიცებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

როგორც „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროში განუცხადეს, მათ 20 მაისს იმეილზე მიიღეს შეტყობინება ზვიად კვაჭანტირაძისგან, სადაც იგი სამინისტროს 30- კაციანი დელეგაციის დიდ ბრიტანეთში გაშვებაში ადანაშაულებდა.

– ჩვენს პირად მეილზე მოვიდა ზვიად კვაჭანტირაძის წერილი, რომელიც გვადანაშაულებს დიდ ბრიტანეთში 30-კაციანი დელეგაციის გაშვებაში. ის ქართული ოცნების წევრი და პარლამენტარია. ეს ყველაფერი სიცრუეა და ამიტომ ჩვენს საპასუხო განცხადებაში ყველა პუნქტი დეტალურად არის განხილული, – განუცხადეს „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროში.

გავრცელებული დეზინფორმაციის პასუხად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქვეყნებს განცხადებას:

1. 2013 წლის 4-დან 12 მაისის ჩათვლით, ლონდონში იმყოფებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოთხი თანამშრომელი: მანანა ბერიკაშვილი (მინისტრის მოადგილე), ალექსანდრე მარგიშვილი (მინისტრის მოადგილე), გიორგი გეგეჭკორი (მინისტრის მრჩეველი) და ირინა საგანელიძე (ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე).

გავრცელებული დეზინფორმაციით აღნიშნულ მივლინებაში სამინისტროს 30-მდე თანამშრომელი იმყოფებოდა. ეს სიცრუეა!

2. სამინისტროს ზემოთ აღნიშნული თანამშრომლები გაემგზავრნენ ლონდონში „ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატის“ მიერ ორგანიზებულ და სამინისტროს მიერ თანადაფინანსებულ კულტურულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად; სხვა პროექტებთან ერთად აღნიშნული პროგრამა შედგებოდა შემდეგი ღონისძიებებისგან:

ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა; ქართული ხალხური სიმღერების (ცოცხლად შესრულების) პრეზენტაცია; ქართული ფილმების („ქვევრი““ „გიორგობისთვე““ „ფიროსმანი““ „სუხიშვილები“ და სხვა) ჩვენება; გამოფენა „შექსპირი და ქართული თეატრი“; პრეზენტაციები თემებზე: „შექსპირი ქართულ თეატრში“ და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში“; ღვინისა და ხელოვნების ფესტივალი ლონდონში; გამოფენა „ხელოვნება ღვინოში და ღვინო ხელოვნებაში“; ქართული ხალხური ტრადიციული ხელოვნების სხვადასხვა დარგის ექსპოზიცია-პრეზენტაცია: მრავალხმიანობა და ცეკვა, ეროვნული სამოსი, ღვინის ჭურჭელი, ხალხური რეწვა („სუვენირები საქართველოდან“), ქართული სუფრის თავისებურებები, ტექსტილი და სხვა; ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის – კვინტეტ „ურმულის“ გასტროლები; კვინტეტმა მუსიკალურად გააფორმა ლონდონში მიმდინარე ქართული კულტურის პრეზენტაციის საღამოები.

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად კულტურის სამინისტროს ოთხმა თანამშრომელმა თბილისიდან ლონდონში წაიღო ყველა ღონისძიებისათვის საჭირო ინვენტარი; კერძოდ: კოსტიუმები, სამუზეუმო ექსპონატები, ღვინო, ხალხური რეწვისა და ტექსტილის ნიმუშები, სუვენირები, „ლურჯი სუფრა“ და მისი ატრიბუტიკა, კვების პროდუქტები, კინოფირები და სხვა.

გავრცელებული დეზინფორმაციით, ინგლისში კულტურის სამინისტროს თანამშრომლები მარჯანიშვილის თეატრს გაჰყვნენ და იქ არაფერი ესაქმებოდათ. ეს სიცრუეა!

3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი ლონდონში ცხოვრობდნენ სასტუმროში „გრეინჯ სთი პოლ“; სასტუმროს დღიური საფასური ერთ თანამშრომელზე შეადგენდა 184 გირვანქა სტერლინგს. ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირინა საგანელიძე ცხოვრობდა სასტუმროში „ქემენ ჰაუს – ეიქომ“; სასტუმროს დღიური საფასური შეადგენდა 60 გირვანქა სტერლინგს.

გავრცელებული დეზინფორმაციით, სამინისტროს თანამშრომლები ლონდონში ცხოვრობდნენ სასტუმრო „ჰილტონში“ და დღე-ღამეში იხდიდნენ 350 გირვანქა სტერლინგს. ეს სიცრუეა!

4. სსიპ „კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ გასტროლები ლონდონში არ დაფინანსებულა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

გავრცელებული დეზინფორმაციით, თეატრის მსახიობები ლონდონში სამინისტრომ „დაასახლა“ სასტუმროში, რომელშიც ნომერი 60 გირვანქა სტერლინგი ღირდა. ეს სიცრუეა!

5. აღნიშნულ პერიოდში ლონდონში იმყოფებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის ქალიშვილი ანა მაისურაძე, „კავკასიის მედიის სკოლის“ მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც პირადი სახსრებით დააფინანსა აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ქალბატონი ანა მაისურაძის არც მგზავრობის, არც სასტუმროში ცხოვრების, არც კვების, არც გადაადგილების, არც დღიური ანაზღაურების, არც ჰონორარისა და არც სხვა რაიმე ხარჯის ანაზღაურება არ განხორციელებულა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა ანა მაისურაძემ ლონდონის „ვინოპოლისში“ წარმოადგინა მოხსენება „შექსპირი ქართულ თეატრში“.

გავრცელებული დეზინფორმაციით, მინისტრის მოადგილემ, მანანა ბერიკაშვილმა საკუთარი ქალიშვილი ოფიციალურ დელეგაციაში ჩასვა. ეს სიცრუეა!

ქართული კულტურის დღეები ლონდონში გასულ კვირას გაიმართა. საქართველოში დაბრუნებულმა დელეგაციამ საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა და მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, ლონდონში გამართულ ქართულ კულტურულ პროგრამას დიდი წარმატება ხვდა წილად. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილმა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მმართველმა ეკატერინე მაზმიშვილმა, დასის წევრებმა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

მათი თქმით, ბრიტანულ საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ხალხური ტრადიციული ხელოვნების სხვადასხვა დარგის პრეზენტაციამ, ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართული სუფრის წარდგენას, ქართულ მრავალხმიანობასა და ცეკვას, ექსპოზიციას, სადაც ეროვნული სამოსი, ღვინის ჭურჭელი, ხალხური რეწვის, ტექსტილის ნამუშევრები და სხვა უამრავი ექსპონატი გამოიფინა.

როგორც დაგეგმილი იყო, შექსპირის თეატრ „გლობუსში“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 6-ჯერ წარდგა ლევან წულაძის სპექტაკლით „როგორც გენებოთ“.

ლონდონში ქართული კულტურის პროგრამის ფარგლებში ასევე გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება: ვინოპოლის დარბაზში 8 მაისს გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული სცენოგრაფია შექსპირის თემაზე. მის პარალელურად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილმა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ საზოგადოებას წარუდგინეს მოხსენება თემაზე „შექსპირი ქართულ თეატრში“ და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში“. 10 მაისს ვინოპოლის დარბაზში მოეწყო ქართული მხატვრული ფილმების „ქვევრი“, „ფიროსმანი“ და ასევე ანსამბლ „სუხიშვილების“ დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ვინოპოლის დარბაზში მიმდინარე ქართულ კულტურულ პროგრამებს მუსიკალურად აფორმებდა ქართული ხალხური ანსამბლი „ურმული“. 11 მაისს ქართველმა ემიგრანტმა, ინგლისში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კერძოდ, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს უნიკალური საჩუქარი გადასცა. 1866 წელს დამზადებული ანდრონიკაშვილების საგვარეულო მოვერცხლილი ჭურჭელი. მემორიალური ნივთების უკანასკნელი მფლობელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ვერცხლის საუკუნის ყველაზე ცნობილი ქალბატონი სალომე ანდრონიკაშვილი იყო.

ქართული კულტურის პროგრამა ლონდონში ფესტივალით „საქართველო – ღვინის ხელოვნება და ღვინო ხელოვნებაში“ 21 მაისამდე დაიგეგმა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსილმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. უბანი ძველ თბილისში; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპირტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 16. მონასტერი ხულოს რაიონში; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

თარაზულად: 1. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 3. შამფურზე შემწვარი ხახვითა და სუნელებით შეკმაზული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 9. საცხოვრებელი კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 26. ხოხობის, კაკაბის, გნოლის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პირმშო; 2. სამება; 3. მონცა; 5. რუხი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. მორჩილაძე; 13. შლაგერი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. ლალი.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 4. პატრიცი; 7. რეზიუმე; 9. ცენტონი; 10. ამება; 12. ლიმონათი; 16. სამორინე; 17. შარიათი; 18. ღრიანკალი; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შაკოლონე; 6. აკრი; 7. ჭინჭარი; 10. კოლო; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ელეგია; 12. მიტარბი; 19. ტრიუკი; 21. ბრუტო; 24. სესხი.

თარაზულად: 1. შეიკერი; 3. კანაპე; 8. ბისკაი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. სტილბი; 22. ნაიკი; 23. რეიმსი; 25. მზე; 26. გორი; 27. ბაია; 28. სიგნატურა.

ვახტანგ კიკაბიძემ რუსეთს ჯერჯერობით არ აპატია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– რუსეთში არ ჩავდივარ არა იმიტომ, რომ რუსეთი არ მიყვარს. ძალიან მიყვარს რუსეთი, რადგან იქ ჩემი, როგორც არტისტის ყველაზე საუკეთესო მსმენელია. ორი უზარმაზარი პროგრამა მაქვს, ერთი რუსულ ენაზე, მეორე ქართულად. რუსეთში კონცერტების გარეშე ძალიან მოწყენილი ვარ. მაგრამ როცა ადამიანი მღერის, ეს პირველ რიგში თვითონ უნდა უხაროდეს. ასე უბრალოდ, პროფორმისთვის რომ ჩავიდე, ამით საკუთარი თავის უპატივცემულობას გამოვიჩენდი. თუ მეტყვიან, რომ სამშობლოსთვის უნდა წახვიდე, ეს სამშობლოს სჭირდება, ეს სხვა საქმეა, მაშინ რაღაც დავალებას იღებ. მაშინ, არის თუ არა არტისტი კიკაბიძე, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ამიტომაც იყო ხალხი კრემლის კონცერტებით აღშფოთებული. ხალხი ხომ ყველგან ერთნაირია. მეც ვთვლი, რომ საქართველოს მიმართ რუსული პოლიტიკა აბსოლუტურად არასწორია. თავის დროზე ასევე ვთქვი, რომ სანამ პოლიტიკა ასეთივე იქნება, როგორიც ახლაა, იქ სიმღერას ვერ შევძლებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოწვევა მომდის, სულ მირეკავენ და მიწვევენ. ამასწინათ, 30 კონცერტზე წინადადება იყო. პრინციპში, ეს ჩემი საქმეა, მაგრამ როგორღაც ამაზე ფეხის გადაბიჯება არ შემიძლია. ბევრს უნდა, რომ რუსეთთან ყველაფერი კარგად იყოს, მეც ასევე, მაგრამ მარტო ეკონომიკური ბიძგების იმედზე არ უნდა ვიყოთ: რომ აი, ციტრუსები გავიტანეთ, ღვინო და უკვე ყველაფერი წესრიგშია. ეს ასე არ არის. ვიცხოვრებთ და ვნახავთ ამას.

– თქვენ გაქვთ სიმღერა რუსულ ინტელიგენციაზე „გამაწბილეთ“. შეგიძლიათ თუ არა მსგავსი რამ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს უთხრათ?

– იცით, როდესაც მძიმე ცხოვრება იწყება, ადამიანები ცოტა სხვაგვარად იწყებენ აზროვნებას. არავის არ ვადანაშაულებ, ვცხოვრობ ისე, როგორც მესმის, ისინი თავისებურად ცხოვრობენ. პატივს არ ვცემ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი სამშობლო არ უყვართ. სამშობლო უნდა გიყვარდეს, პატრიოტი უნდა იყო. ეს ხომ არ არის პროფესია, ეს შენში ან არის, ან არა. მაგრამ დღეისთვის ვხედავ ასეთ სინდრომს, რომ რაც მოხდა, ყველაფრის დავიწყება სურთ. ვფიქრობ, ამის გამო ადამიანს უნდა რცხვენოდეს თუ ის ინტელიგენტია, რადგან რაც მოხდა, იმის დავიწყება არანაირად არ შეიძლება.

მახსოვს პერიოდი, როდესაც ჩვენ, ჩვენს პატარა ქვეყანას რუსეთი საკუთარ მტრად აცხადებდა. ჩვენამდე ამ როლში რატომღაც ესტონელები იყვნენ. ჩვენს შემდე არ ვიცი, ვის აირჩევენ. მაგრამ ეს პოლიტიკა უნდა დასრულდეს. ეს ძალიან ცუდად დაწერილი სცენარია.

– თქვით, რომ თითოეულმა ქართველმა შემსრულებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, გამოვიდეს რუსეთში თუ არა. იქნებ, სწორედ ასეთი გამოსვლებით მოხერხდება რუსულ-ქართული ურთიერთობების მკვდარი წერტილიდან დაძვრა?

– ხელოვნება თანდათანობით ყველაფერს გადააკეთებს და ერთ მშენიერ დღეს ჩვენ კვლავ მშვიდობიანად, მეგობრულად ვიცხოვრებთ. ამ პირობებში, ჩვენ რუსეთთან ვერ ვიცხოვრებთ. არ შეიძლება, რომ ნატოში არ შევიდეთ. ისმის კითხვა: რატომ გინდათ ნატოში შესვლა? იმიტომ, რომ ჩვენ გვეშინია. ნატოს წევრი ყველა პატარა ქვეყანა იქ იმიტომ შევიდა, რომ ნატო ძლიერი ორგანიზაციაა. იქამდე მინდა ვიცხოვრო, როცა რუსეთი ასევე შევა ამ ორგანიზაციაში და მაშინ, ალბათ, თანდათანობით ყველაფერი და ყველგან დარეგულირდება. ,

– გჯერათ იმის, რომ რუსეთი მიმზიდველი გახდება საქართველოსთვის და პირიქით, საქართველო რუსული ორბიტის სფეროში დაბრუნდება?

– ოდესღაც ყველაფერი შეიცვლება. რუსეთი უმდიდრესი ქვეყანაა და უკვე ამის გამო პატივსაცემია. როდესაც მდიდარი ქვეყანა მშვიდობას ქადაგებს და მის სადარაჯოზეა, მასთან რიგები დადგება! რა პრეტენზიები შეიძლება გვქონდეს რუს ხალხთან? არანაირი პრეტენზიები არ არის. ვიცი, რომ თვითონ ხალხი ასევე ცუდ დღეშია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სერგეი ლავროვი „ევროვიზიაში“ დაკარგულ ხმებს ეძებს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი გააღიზიანა „ევროვიზია-2013“-ზე მომხდარმა ინციდენტმა, როდესაც ხმების დათვლის დროს, რუსმა ფინალისტმა შეცდომით, აზერბაიჯანისგან ვერცერთი ქულა ვერ მიიღო.

„როდესაც ჩვენ მონაწილეს 10 ქულა მოპარეს, ეს არ გვახარებს, პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით, როგორ არის ეს ღონისძიება ორგანიზებული. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის საზოგადოებრივი მაუწყებელი სამართლებრივ მომენტებს გაარკვევს, ჩვენ შევათანხმებთ ერთობლივ მოქმედებებს, რათა ეს აღმაშფოთებელი ქმედება, პასუხის გარეშე არ დარჩეს“, – განაცხადა ლავროვმა დღეს აზერბაიჯანელ კოლეგასთან ელმარ მამედიაროვთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„რუს მონაწილეს ძალიან ბევრმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. ეს ისტორია ნამდვილად უნდა გამოიძიონ“, – განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა.

ევროვიზია 2013-ზე რუსეთის წარმომადგენელმა დინა გარიპოვამ მეხუთე ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ შაბათს შვედეთში გამართულ კონკურსში დანიელმა კონკურსანტმა გაიმარჯვა. ღამით ხმის მიცემის შედეგები გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანმა რუს მონაწილეს არცერთი ქულა არ მისცა.

ერთ-ერთი ლიტვური ინტერნეტ გამოცემა კი აზერბაიჯანს „ევროვიზიის“ ხმების ყიდვაში ადანაშაულებს. ინტერნეტ გამოცემამ მოსყიდვის დამადასტურებელი ვიდეომასალაც წარმოადგინა, რომელიც ფარულად არის ჩაწერილი.

ასადის არმიამ ქალაქ კუსეირზე კონტროლი დაამყარა

სირიის არმიამ ქალაქ კუსეირის 70 %-ზე კონტროლი დაამყარა. ამ ქალაქისათვის ბრძოლა ასადის არმიასა და ოპოზიციას შორის უკვე რამდენიმე დღეს მიმდინარეობს. ინფორმაციას ამის შესახებ ირანული ტელეარხი ავრცელებს.

„ქალაქში რამდენიმე მხრიდან შევედით. სასტიკი წინააღმდეგობა დაგვხვდა, თუმცა ჩვენ იგი დავძლიეთ და ქალაქის რაიონები ჩვენს კონტროლს დავუქვემდებარეთ“, – ციტირებს ტელეარხი სირიელ სამხედროებს. მათივე ინფორმაციით, ისინი მთლიანად აკონტროლებენ ქალაქის აღმოსავლეთ და ცენრალურ ნაწილს და ქალაქის ადმინისტრაციას.

ასადის არმიის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ ბრძოლების დროს მოკლულია ამბოხებულთა ორი მეთაური. ამჟამად ქალაქში ბრძოლები კვლავ მიმდინარეობს თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლები ქალაქს ტოვებენ.

თავის მხრივ, მოძრაობა „ჰეზბოლამ“ სირიის ქალაქ კუსეირში თავისი მებრძოლები გააგზავნა. ისინი ბაშარ ასადის არმიის მხარეს იბრძვიან. ინფორმაციას ამის შესახებ ეგვიპტური მედია ავრცელებს.

„ჰეზბოლლამ“ კუსეირში ახალი ელიტური ნაწილები გააგზავნა. მათ ტყვედ უკვე აიყვანეს მრავალი ამბოხებული და ის ადამიანები, რომლებიც სირიის მოქალაქენი არ არიან“, – იუწყება მედია. აღსანიშნავია, რომ ლინდონში არსებული სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი იუწყება, რომ :„ჰეზბოლამ“ კუსეირისათვის ბრძოლაში დაახლოები 31 მებრძოლი დაკარგა.

ყირგიზეთი აშშ-სთან „მანასის“ შესახებ ხელშეკრულების დენონსირებას ახდენს

ყირგიზეთის ხელისუფლებამ 2014 წლის 11 ივლისიდან აშშ-სთან ყოფილი ავიაბაზის, ამჟამად კი ბიშკეკის აეროპორტში მდებარე ტრანზიტული გადაზიდვების ცენტრის „მანასის“ შესახებ, ასევე გარკვეული ობიექტებისა და უძრავი ქონების სახეობების ირგვლივ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დენონსირება გადაწყვიტა.

შესაბამისი პროექტი ყირგიზეთის მთავრობას პარლამენტში დასამტკიცებლად გააქვს. ინფორმაცია ამის შესახებ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ინტერნეტ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

ქვეყნის დიპლომატიურ უწყებას ამ გადაწყვეტილების ამერიკის მთავრობისათვის შეტყობინება დაევალა.

ამერიკული სამხედრო ობიექტი ყირგიზეთში 2001 წლის დეკემბერში გაიხსნა. „მანასის“ ავიაბაზის დახურვის შესახებ პირველად ინფორმაცია 2009 წელს გაჩნდა. აღნიშნულის შესახებ ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა კურმანბეკ ბაკიევმა მოსკოვში ვიზიტის დროს განაცხადა.

ოკლაჰომაში ტორნადოს 91 ადამიანი ემსხვერპლა

ბოლო მონაცემებით, ოკლაჰომაში ძლიერ ქარიშხალს 91 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ოცი ბავშვი. ათობით ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. შტატში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. როგორც აცხადებენ, სკოლის ნანგრევებს შორის შესაძლოა ბავშვები არიანი მოყოლილნი. დაკარგულად ოცი სკოლის მოსწავლე ითვლება. მაშველები სამძებრო-სამაშველო სამუშაოებს ამ დრომდე ატარებენ. ამერიკის ეროვნული ამინდის სამსახურის ინფორმაციით, ქარის სიჩქარე 321კმ/სთ-ში აღწევდა.

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ ამერიკას ტორნადოს შედეგების ლიკვიდაციაში დახმარება შესთავაზა. აღნიშნულის შესახებ დღეს ჟურნალისტებს სამინისტროს ხელმძღვანელმა ვლადიმერ პუჩკოვმა განუცხადა.

„სამინისტრო მზადაა მომხდართან დაკავშირებით ამერიკას დახმარება აღმოუჩინოს. მე ამერიკის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს წერილი გავუგზავნე და ველოდებით პასუხს“, – განაცხადა პუჩკოვმა.

მინსტრმა, ასევე, გაიხსენა რომ გასულ წელს ქარიშხალ „სენდის“ შემდეგ, რუსეთმა ამერიკაში ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული ორი ვერტფრენი გააგზავნა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ჭიდაობის გადარჩენაზე ფიქრი დაიწყო

გადარჩება თუ არა ჭიდაობის სახეობები ოლიმპიადიდან ამოღებას? ეს კითხვა სპორტულ სამყაროში ბოლო დროს აქტუალური გახდა. ცხადია, ჭიდაობის მოყვარულებს არ სურთ ამ უძველესი სახეობის ოლიმპიადიდან ამოღება, მაგრამ ექსპერტების მტკიცებით, ჭიდაობამ თავისი ხიბლი დაკარგა. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ თებერვალში ფილას ბიუროს წევრებმა ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი ხავიერ მარტინეტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შემდეგ კი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დასაბრუნებლად კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე გადავიდა – შეცვალეს შიდა კონსტიტუცია, აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და რაც მთავარია, რადიკალურად შეცვალეს წესები.

ეს ყველაფერი მოსკოვში ჩატარებულ კონგრესზე მოხდა, რომელსაც წინ ყოფილი პრეზიდენტის სკანდალური განცხადება უძღვოდა. მარტინეტმა მოახერხა და საარბიტრაჟო სასამართლოს დახმარებით ფილას ბიუროს წევრის სტატუსი აღიდგინა, შემდეგ კი სხვა წევრებს კონგრესის დანიშვნის გადაწყვეტილება დაუწუნა და ერთობ უცნაური იდეითაც მიმართა – თუ ოლიმპიურ პროგრამაში დაბრუნების პრეტენზია გვაქვს, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობები გავაერთიანოთო.

ცხადია, მის ამ იდეას ყური არავინ უგდო, ამიტომაც იყო, რომ თავდაპირველი გადაწყვეტილება, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭი ეყარა, გადაიფიქრა.

ამრიგად, პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა, სერბმა ნენად ლალოვიჩმა, რომელიც ბოლო თვეებში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო და ამ მისიით ორიოდე თვის წინ თბილისსაც სტუმრობდა, ამჯერად ოფიციალური სახე მისცა. 132-მა დელეგატიდან ლალოვიჩს ხმა 125-მა დელეგატმა მისცა.

ნენად ლალოვიჩი:

– მივიღეთ გადაწყვეტილებები, რომლებიც ჭიდაობას სანახაობრივს გახდის. შესაბამისად, მაყურებელსაც უფრო ადვილად მოვიზიდავთ, ჭიდაობის გეოგრაფიაც გაიზრდება და ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღების საფრთხეც აღარ დაგვემუქრება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და იმედია, ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჭიდაობის მოყვარულს სურთ.

სადღეისოდ ცნობილი სიახლეები ასეთია: თუ ჭიდაობა 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იქნება, მაშინ ქალთა, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ სტილებში 6-6 წონით კატეგორიაში გათამაშდება მედლები და სამივე სტილის თითოეულ წონით კატეგორიაში მონაწილეთა რაოდენობა ოდნავ შემცირდება. ლონდონის ოლიმპიადაზე ქალებში მედლების 4 კომპლექტი გათამაშდა, ხოლო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის – 7-7.

რაც შეეხება წესებს: ახალი წესების თანახმად, თითოეული შეხვედრა ორი 3-წუთიანი პერიოდისგან გაიმართება, რომლებს შორისაც სპორტსმენებს დასასვენებლად 30 წამი მიეცემათ. გაუქმებულია ოვერტაიმი და კლინჩი. ასევე აღარ არსებობს მეტოქის ხალიჩიდან გაყვანის გამო ქულის მიღებისა და ბურთუღის ამოღების წესი. თუკი პერიოდის პირველი ორი წუთი ისე ჩაივლის, რომ ქულის აღებას ვერც ერთი მოჭიდავე შეძლებს, მაშინ მსაჯები შეთანხმდებიან, რომელი სპორტსმენი იყო დროის ამ მონაკვეთში მეტად პასიური და მას ილეთის გასაკეთებლად 30 წამს მისცემენ. თუ ვერ გამოიყენებს, მაშინ ქულას მეტოქე მიიღებს და ანგარიშში ჩამორჩენილ მოჭიდავეს პერიოდის გადასარჩენად ნახევარი წუთი კიდევ ექნება.

ლალოვიჩის განცხადებით, ცვლილებები აუცილებლად გაგრძელდება და ჭიდაობის საერთო სახე ტურნირიდან ტურნირამდე დაიხვეწება.

მ. უ.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 22 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „პლანეტა დედამიწის სიღრმეში„ 17.55 ფეხბურთი. საქართველოს თასის ფინალი. (პ/ტრ) 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „აბრეშუმი„ (კ. ნაიტლი) 01.20 დ/ფ „ანგელოზები და დემონები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 „არგუმენტების დრო„ (გ/ჩვ) 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „ადრენალინი„ 01.10 მხ/ფ „მუხლუხას რჩევა„ (ე.დიკი) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ქალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „გრიმი„ 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 კონცერტი - რობერტო ვილაზონი 14.20 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ცეკვის არისტოკრატი„ 16.40 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩემი ბოშები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში„ 23.40 დოკ/ფ „წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I სერ.

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 მაისი

- აშშ დოლარი — 1,6360
- ევრო — 2,1049
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4938
- 100 რუსული რუბლი — 5,2113

ამინდის პროგნოზი 22 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 22 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – არ აჩქარდეთ, სერიოზული ნაბიჯი გაქვთ გადასადგმელი. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **გყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც მოგწონთ. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს. **ლომი** – მალე გამოჯანსაღდებით, ცოტაც მოითმინეთ. **ქალწული** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** – ფულს იშოვით, პრობლემა არ გაქვთ. **მშვილდოსანი** – ბევრს შრომობთ და დაგიფასდებათ. **თხის რქა** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – ცხოვრება გეცვლებათ, თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

გისუფთავებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ქალაქი იტალიაში, სადაც განთავსებულია „ფიატის“ სათაო ოფისი; 3. შავი, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 5. ოპერა „კარმენის“ პერსონაჟი; 6. სამურაბე ლამბაქი; 8. ნუშისებრი ჯირკვლების მწვავე ანთება; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 15. სამართლის დარგის სპეციალისტი; 19. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე.

თარაზულად: 1. თბილი დინება ატლანტიკის ოკეანეში; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 10. სიბრძნის, ხელოვნების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 12. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 16. ნეპალის დედაქალაქი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. კიდულ რელსებზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 21. ბრიტანული ტაქსი; 22. მოხდენილად, ლამაზად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი საღამო რუსეთში გაიმართა

ქართველმა მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ რამდენიმეწლიანი პაუზა დაარღვია და რუსეთში ისევ ჩავიდა. მომღერალი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთში ჩასვლასა და კონცერტის გამართვაზე უარს ამბობდა. მომღერალი არასოდეს მალავდა, რომ რუსეთში მისი შემოქმედება ძალიან უყვართ, თან თვითონაც ბევრი მეგობარი ჰყავს და ათეულობით წლები სწორედ რუსეთში უწყვეტ კონცერტებსა და გასტროლებთან აკავშირებს. ნანი ბრეგვაძე რუსეთში, სოლოკონცერტებთან ერთად, შერეულ კონცერტებსაც ატარებდა. ანსამბლ „ორერასთან“ ერთად მას მთელი რუსეთი აქვს შემოვლილი.

ამჯერად მომღერალი მოსკოვში ჩავიდა, თან მარტო არა. მას რუსეთის დედაქალაქში ოჯახიც გაჰყვა და შემოქმედებითი საღამოც გაიმართა სახელწოდებით „საქართველოდან სიყვარულით“. როგორც რუსული ტელეკომპანია „მირ 24“-ის მიერ გავრცელებულ სიუჟეტშია აღნიშნული, ნანი ბრეგვაძე კონცერტის დაწყებამდე რუსულ საზოგადოებას შეხვდა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. შეკრებილმა საზოგადოებამ მონატრებული მომღერალი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

– დიდი შემოქმედებითი გეგმები მაქვს, სულ ვმუშაობ, სულ მაქვს კონცერტები და გასტროლები, მაგრამ ივნისი, ივლისი, აგვისტო არასოდეს ვმუშაობ. ეს ჩემი თვეებია, ამ დროს უნდა ვიყო ჩემს შვილებთან, ჩემს ოჯახთან, ჩემს მეგობრებთან და დავისვენო, სექტემბრიდან კი ყველაფერი თავიდან იწყება – კონცერტები, გასტროლები და ბევრი მუშაობა, – განაცხადა ქართველმა მომღერალმა.

როგორც ტელეკომპანია „მირ 24“-ის ჟურნალისტმა აღნიშნა, ნანი ბრეგვაძე უკვე 50 წელზე მეტია, თავისი სიმღერებით მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ის მღერის ქართულ, რუსულ და ბოშურ სიმღერებს. მის მიერ შესრულებული რუსული რომანსი „სნეგაპადი“ ქართულ-რუსული კულტურის გვირგვინია. ჟურნალისტის თქმით, მის ოჯახში ყველა მღერის, მისი შვილი, ეკა მამალაძე, ასევე ცნობილი მომღერალია. მუსიკალური კარიერა აირჩია ნანი ბრეგვაძის შვილიშვილმაც – ნატალია ქუთათელაძე საოპერო ხელოვნებას ეუფლება.

ნანი ბრეგვაძე რუსეთში განსაკუთრებულად უყვართ. მისი კონცერტები რუსეთის ქალაქებში ყოველთვის ანშლაგებით მიდის და ქართველ მომღერალს მოსკოვში დიდი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად ვარსკვლავიც კი გაუხსნეს.

ბოლო პერიოდში ნანი ბრეგვაძე კონცერტებს თბილისშიც აღარ მართავს. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ქაბატოს როლი დავით დოიაშვილის მიერ დადგმულ მიუზიკლში „ქეთო და კოტე“. მომღერალი სოლოკონცერტებით ქართველ მსმენელს აღარ ანებივრებს და არც შერეულ საღამოებში მონაწილეობს.

ამჯერად ნანი ბრეგვაძე მონატრებული თბილისელი მსმენელის წინაშე რამდენიმე სიმღერით წარდგება. 22 მაისს ბულორუსიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჯგუფ „სიაბრისთან“ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იმღერებს. მასთან ერთად კონცერტში სტუმრის სტატუსით ანსამბლი „ორერაც“ არის მიწვეული.

ეკა ირემაშვილი

ლევან აბაშიძეს 50 წელი შეუსრულდებოდა

ქართველ მსახიობ ლევან აბაშიძეს 22 მაისს 50 წელი შეუსრულდებოდა. იგი 1992 წელს სოხუმში, აფხაზეთის ომში დაიღუპა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 23 მაისს კინოს სახლში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კინო და მედია კომუნიკაციის შემსწავლელი ცენტრის ინიციატივით მოეწყობა ვახტანგ კოტეტიშვილის ფილმ „ანემიის“ ჩვენება, რომელიც 1987 წელსაა გადაღებული.

ლევან აბაშიძემ მხოლოდ 9 ფილმში მოასწრო მონაწილეობის მიღება, თუმცა შეძლო, მაყურებლისთვის თავი დაემახსოვრებინა და შეეყვარებინა. მისი დებიუტი 35 წლის წინ შედგა ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სადაც სანდროს როლი განასახიერა. მას დაემატა ფილმები „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ (ახალგაზრდა კომპოზიტორი – მთავარი როლი), „საფეხური“, „წრებრუნვა“, „ფესვები“ (შვილიშვილი), „ანემია“ (ნიკა – მთავარი როლი), „ბრავო, ჯორდანო ბრუნო!“ (მთავარი როლი), „ბედნიერი სოფელი“ (ერთ-ერთი მთავარი როლი) და „სტუმარი“ (ახალგაზრდა კაცი).

მსახიობმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის კინომსახიობთა თეატრში. ცნობილია, რომ შთამომავლობით ლევანი ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი იყო თეკლა ბატონიშვილის შტოდან.

ლევან აბაშიძე 29 წლის ასაკში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის (1992-93 წლებში) დროს, ზემო ეშერასთან დაიღუპა.

კინოს სახლში ლევან აბაშიძეს გაიხსენებენ კინოხელოვანები, კინომცოდნეები, მეგობრები. ღონისძიების მოდერატორია კინომცოდნე, პროფესორი ნინო მხეიძე, საღამოზე დასწრება კი ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ეკა ირემაშვილი

ვახტანგ კიკაბიძემ რუსეთს ჯერჯერობით არ აპატია



ვახტან კიკაბიძესთან ინტერვიუს რადიო „თავისუფლების“ რუსული სამსახური აქვეყნებს.

„საქართველოში ხელისუფლების შეცვლას და პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გუნდის მოსვლას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არანაირი სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქართული მხარის და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორის 20% ოკუპირებულია. საქართველოს არ აქვს ილუზია, რომ მოსკოვი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „აღიარებას“ უკან გაიწვევს, მაგრამ ივანიშვილის მთავრობა „ხელების ჩამოშვებას“ არ აპირებს. და თუკი რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების საწინააღმდეგოდ საქართველოში არავინ გამოდის, ცოტა სხვანაირად იქნა აღქმული სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, „ერისიონის“ კონცერტი კრემლის საკონცერტო დარბაზში. ბევრმა ქართველმა პოლიტიკოსმა ანსამბლი და ქვეყნის ხელისუფალნი „ოკუპანტების გართობასა“ და ქვეყნის ინტერესების ღალატში დაადანაშაულა.

პირველი, ვინც 2008 წელს, აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთის „ხალხთა მეგობრობის“ ორდენსა და მოსკოვში გამოსვლებზე უარი თქვა, პოპულარული ქართველი მსახიობი და მომღერალი ვახტანგ კიკაბიძე იყო. სწორედ მას ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი და პირველივე კითხვა, კრემლში ქართველი არტისტების გამოსვლას შეეხებოდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

განსაკუთრებული მოურინიო განსაკუთრებულ „რეალს“ ტოვებს

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართა, ოფიციალურად განაცხადა, რომ პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო „სამეფო კლუბს“ აღარ უთავკაცებს. მიუხედავად იმისა, რომ მას გუნდთან 2016 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, პერესის განცხადებით, სეზონის დასრულებისთანავე მოუ თანამდებობას დატოვებს.

ფლორენტინო პერესი:

– არავის არავინ დაუთხოვია. ეს ერთობლივი გადაწყვეტილებაა და, ვფიქრობ, სწორიც. სამწლიანი ურთიერთობის შემდეგ ორივე მხარე მიხვდა, დროა ეს ურთიერთობა დამთავრდეს. ფინანსური პრობლემა აქ არაფერ შუაშია და ეს გამოვრიცხოთ. მოურინიო უდიდესი მწვრთვნელია, რომელმაც ბევრ კლუბს წარმატება მოუტანა. ის, რომ „რეალი“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, სწორედ ჟოზეს დამსახურებაა. გასულ წელს გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ყველა რეკორდი დაამყარა, წელს კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თამაში, სამეფო თასის ფინალში გასვლა და ლა ლიგის მეორე ადგილით დასრულება, ჩვენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ არის „რეალი“ განსაკუთრებული. დიახ, ჩვენ განსაკუთრებულები ვართ და ჩვენი მთავარი მიზანი გამარჯვებაა. დღეს ერთიანი ვართ ისე, როგორც არასოდეს. ბატონ მოურინიოს კი მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ. შეუძლებელია, ჩვენმა სახლმა ის დაივიწყოს და მას მადლობას ვუხდით. დროა, ჟოზე მოურინიოს დავემშვიდობოთ და კიდევ ერთხელ ვუსურვოთ წარმატება.

თუ ვინ გახდება „რეალის“ მწვრთნელი, „თეთრების“ პრეზიდენტმა ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთება არ მოისურვა.

მ. ჟ.